პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976 პარასკევი 2 აპრილი № 77 (16507) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ფართო გზა — ახალს, პროგრესულს!

ჩუსთავველმა მშენებელმა, სოციალისტური შრომის გმირმა შოთა მოდებაძემ წერილი გაუგზავნა ქალაქ მოსკოვის ზელენოგრადმშენის სამმართველოს საყოველთაოდ ცნობილ მშენებელს, სოციალისტური შრომის გმირს, სკკპ XXV ყრილობის დელეგატს ნიკოლოზ ზლობინს. როგორც ცნობილია, ნიკოლოზ ზლობინის საწარმოო გამოცდილება ფართოდ აღინიშნა ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში.

ქართველი მშენებელი სთხოვს მოსკოველ კოლეგას წერილობით გაუზიაროს თავისი გამოცდილება იმაზე, თუ როგორ იყენებენ თანამედროვე საქმიანობაში ბრიგადის სამეურნეო ანგარიშს, როგორ შეუდგენენ მეათე ხუთწლეულით დასახული ამოცანების შესრულებას, დამატებით რა ტექნიკურ ხიახლეებს ნერგავენ ან დანერგავენ მუშაობაში...

სკკპ XXV ყრილობამ განსაზღვრა უახლოესი ხუთწლედის მიჯნები და სოციალურ-ეკონომიური პროგრესის შემდგომი პერსპექტივები. ეს არის — თანმიმდევრულად განვახორციელოთ ლენინური პარტიის კურსი — უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება, რაც მიღწეულ უნდა იქნას ხაზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, ხალხმეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესების საფუძველზე.

პარტიის მიერ დასახული ამ ამოცანების შესრულებისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა ფართო, შემოქმედებითი ინიციატივის აღორძინებას, ადგილებზე დაგროვილი და ცხოვრებით დადასტურებული მოწინავე მეთოდების განზოგადებას, მათს ხაერთო-ხალხმეურნეობად გადაქცევასა და საქმის ხაერთო ინტერესების ხამსახურში ჩაყენებას.

საწარმოთა კოლექტივებს ისტორიამ იცის იმის არა ერთი და ორი მაგალითი, თუ რა დადებითი შედეგები მოსდევს მონათესავე საწარმოების ურთიერთკავშირს, მეგობრობას, ერთმანეთისაგან საწარმოო გამოცდილების შესწავლასა და გამოყენებას. როგორც სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, მთელი ქვეყანა აჰყვა ისეთ შესანიშნავ თაოსნობას, როგორიც არის მოძრაობა შემხვედრი გეგმების მიღებისათვის, ფართოდ დაუჭერს მხარი მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის ხაზელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის ინიციატივას მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების წარმოებაში დაჩქარებული დანერგვისათვის, უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის.

ჩვენი ქვეყნის მოწინავე შუშების გენადი ხმირნოვის, ვლადიმერ მურზენკოს, მიხეილ ჩიხის, ნიკოლოზ ზლობინის, ელენე ამოსოვას, ალევტინა სმირნოვას, ვალენტინა პლეტნიოვას და სხვათა საწარმოო გამოცდილებას რომ გაეცნენ, ჩვენი რესპუბლიკის შრომითს კოლექტივებშიც ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დეკემბერთან — „ხუთი დღის დავალება — ოთხ დღეში“, „ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი“, „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით“.

მრავალი ხაინტერესო ინიციატივისა და წამოწყების ავტორები თვით საქართველოს მუშათა კლასის ღირსეული წარმომადგენლები არიან. აქ არ შეიძლება ერთხელ კიდევ არ აღვნიშნოთ მნიშვნელობა ისეთი ხახარგებლო და კარგი წამოწყებისა, როგორიც არის თვითეული მუშაკის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება ყველა სამუშაო უბანზე, რომლის ინიციატორია თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი გ. კურტანიძე.

გ. კურტანიძის მაგალითით ახლა შრომობენ რუსთაველი მეტალურგები და ტყიბულელი მეშახტეები, ქუთაისელი ავტომშენებლები და ჭიათურელი მადნოელები, ბათუმელი მანქანათმშენებლები და ზესტაფონელი ფეროშენადნობელები. მათ საქმიანობაში ამ ბოლო ხანებში ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. რაოდენობრივ მაჩვენებლებთან ერთად მკვეთრად გაზარდეს ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. სოციალისტური შრომის გმირის გ. კურტანიძის მუშაობის გამოცდილების შემდგომი დანერგვა და განსაზღვრა მით უმეტეს საჭიროა დღეს, როცა მეათე ხუთწლედი ძირითად ამოცანად ისახავს წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ, შემდგომ კი პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მეათე ხუთწლედისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები რომ შეიმუშავეს, იქვე შეუთითეს, რომ ჩვენი წარმატების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის, ყველა რესპუბლიკის დიდი, ჭეშმარიტად ფასდაუდებელი ძმური დახმარება, საყოველთაო-ხალხური გამოცდილებიდან ყოველივე ძვირფასის, ყოველივე ხაუკეთესოს, ყოველივე მოწინავისა და პროგრესულის დანერგვა.

ამ მხრივ საგულისხმოა ხვერდლოვსკის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება — მინამალური კაპიტალური დაბანდებებით მოკმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის გზით პროდუქციის გამოშვების გადიდება. ამ ინიციატივამ და ხიახლემ რესპუბლიკის ხამრეწველო საწარმოებში ფართო მხარდაჭერა ჰპოვა: მისი გამოძახილია მშრომელთა კოლექტივების მიერ გაჩაღებული დევნებები: „დღეს მოწინავის მიჯნა ხვალ ფეთეულის მიღწევაა“, „1976 წელი წარმოების შაღალი ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების წელია“, „მაქსიმალურად დაეტვირთოთ თვითეული კვადრატული მეტრი საწარმოო ფაჩართობი“ და ა. შ.

აქ დახასელებული ინიციატივები და ხიახლენი იმდენად მნიშვნელოვანი და ეფექტის მომცემია, რომ მათი განზოგადების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ხპეციალური დადგენილებანი. ხალქო, საქალაქო, რაიონული პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ ერთხელ კიდევ შეაფასონ, როგორ სრულდება აღნიშნული დადგენილებანი და რა მდგომარეობაა საერთოდ მოწინავეთა გამოცდილების განზოგადების მხრივ.

სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ ზოგან ადგილი აქვს მოწინავეთა გამოცდილების ჩრდილვიდან შეუფასებლობას, რაც ერთგვარად ზიანს აყენებს საწარმოთა კოლექტივების წინსწავლას დასახული მიზნისაკენ. საჭიროა, რომ არცერთი კარგი თაოსნობა არ ჩაკვდეს, რადგანაც თვითეული ასეთ თაოსნობასა და წამოწყებას შეუძლია მნიშვნელოვანი შედეგები მოუტანოს მთელ ჩვენს ქვეყანას.

უდავოდ დიდი ნაყოფის მომცემია ისეთი პრაქტიკა, როცა შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები მონათესავე საწარმოებში მიდიან ხიახლეთა გასაცნობად და ამ ხიახლეთა საკუთარ ხამუშაო ზონებში გადმოსანერგავად. ამ მხრივ აღსანიშნავია პარტიულ და სამეურნეო შუშაკთა ერთი ჯგუფის ჩასვლა მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, სადაც მახპინძლებმა არაფერი დაიშურეს, რომ ქართველი მეგობრებისათვის გაეცნოთ თავიანთი მიღწევები წარმოებაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში.

დიდი და ხალაფი ამოცანები დგას მომდინარე ხუთწლედში საქართველოს მშრომელების წინაშე. 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებებით, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ მიიღო, გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდა 37-41 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს 30-35 პროცენტით. ამ გზით უნდა იყოს უზრუნველყოფილი სამრეწველო პროდუქციის მატების 85 პროცენტი...

ამ ამოცანების უთუო შესრულების საქმეში გარკვეული როლი ტექნიკისა და მეცნიერების ხიახლეთა, მოწინავე, პროგრესული მეთოდებისა და ამ მხრივ შეძენილი მდიდარი საწარმოო გამოცდილების გაბედულად დანერგვამ უნდა შეასრულოს პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები კი ადგილებზე ხათაგები უნდა ჩაუდგნენ ტექნიკურ ხიახლეთა და შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვას, სკკპ XXV ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაჩაღებულ ნამდვილ ხახალხო ლაშქრობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

რაციონალურად და დროულად გამოვიყენოთ სასუქები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენების ერთთვიურის მოწყობის შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში დღემდე ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენებას. ყოველწლიურად მეურნეობებში გროვდება 2 მილიონ ტონაზე მეტი ორგანული სასუქები, ხოლო მათი ფაქტიური გამოყენება 1-1,2 მილიონ ტონას არ აღემატება. 1976 წლის 1 თებერვლისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში შეტანილია 45 ათასი ტონა ორგანული სასუქები — ნაკლები, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ამ საქმეში ჩამორჩენიან ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ადიგენის, ხაშურის, ჯორის, წითელწყაროს, ბოლნისისა და სხვა რაიონების მეურნეობანი. ჭიანურდება საშემოდგომო ნათესებში მინერალური სასუქების დამატებით შეტანა. სასუქები შეტანილია 135 ათას ჰექტარზე, რაც ნათესი ფართობის 58,8 პროცენტს შეადგენს.

წლევანდელმა დაგვიანებულმა, ცივმა გაზაფხულმა დაარღვია საგაზაფხულო კულტურების თესვის ვადები. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების წინაშე დასახულია პასუხსაგები ამოცანა — საგაზაფხულო თესვა დაამთავრონ მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში, მტკიცე საძირკველი ჩაუყარონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების გარანტირებულ მოსავალს. ამ ამოცანის დადებითი გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული ორგანული და მინერალური სასუქების ეფექტიან გამოყენებაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინეს, რომ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სახელმწიფო მეურნეობებში, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების ექსპერიმენტულ მეურნეობებში, სატყეო მეურნეობებსა და ზამინისტროთა და უწყებათა დამხმარე მეურნეობებში 1976 წლის 25 მარტიდან 25 აპრილამდე მოეწყოს ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენების ერთთვიური.

საქართველოს კომპარტიის სოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, კვების მრეწველობის სამინისტროს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცათ:

აღრიცხონ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სახელმწიფო მეურნეობებსა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცათ:

მობილიზაცია უყონ ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და მეურნეობებში სამუშაოსაგან თავისუფალ და სასუქების გადასაზიდად გამოსადეგ ყველა სატვირთო ავტომანქანას, ტრაქტორს, ლაფეტს, ბულდოზერს, ექსკავატორსა და სხვა სატრანსპორტო საშუალებას;

შეადგინონ თვითეული მეურნეობის მახეობით, ამასთან ორსებულ სატრანსპორტო საშუალებათა გათვალისწინებით, ორგანული სასუქების გატანისა და მათი მინდვრებში, ხეხილის ბაღებში, ვენახებში, ციტრუსისა და ჩაის პლანტაციებში შეტანის გრაფიკები, უზრუნველყონ ამ სამუშაოთა დამთავრება ერთთვიურის პერიოდში;

დაუწესონ მკაცრი კონტროლი ორგანული სასუქების გატანის გრაფიკის შესრულებას, მათი შეტანის წესების დაცვას და სამუშაოთა ხარისხს. უზრუნველყონ საშემოდგომო კულტურების ნათესებში მინერალური სასუქების დამატებით შეტანა და შარის ჭარხლის, სიმინდისა და სხვა საგაზაფხულო კულტურების თესვის წინ ნათესებში მათი სრული დოზით სავალდებულო შეტანა კარტოგრამების შესაბამისად.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა გადაანწილოს სხვა რაიონებსა და მეურნეობებში ადგილობრივი მეურნეობების მიერ გამოუყენებელი ორგანული სასუქების მარაგი, რომელიც აქვთ დიდ მეცხოველეობის კომპლექსებსა და მეფრინველეობის ფაბრიკებს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკურმა გაერთიანებამ ერთთვიურის პერიოდში უნდა უზრუნველყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის სასუქების გადასაზიდად გამოსადეგი საავტომობილო ტრანსპორტის, ტრაქტორებისა და სხვა საშუალებების გამოყოფა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომთა განაცხადების მიხედვით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება მიეცა მოეჯამოს ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენების ერთთვიურის შედეგები და შესაბამისი ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს 1976 წლის 1 მაისამდე.

რესპუბლიკური და რაიონული გაზეთების redაქციები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი ვალდებული არიან ფართოდ გაშუქონ ერთთვიურის მიმდინარეობა. (საქინფორმი).

ქვათა-ხარისხის, ეფექტიანობის-ხუთწლედი

17 აპრილი ლენინური შაბათობის დღეა

დღის ნორმა — გადაჭარბებით

კვაისა. (ხაკ. კორ.). მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი ერთსულოვნად გამოეხმაურა მოსკოვის მოწინავე საწარმოთა ინიციატივას ლენინის დაბადების 106-ე წლისთავის აღსანიშნავად მოაწყოს კომუნისტური შაბათობა.

სამთოელებმა, აგრეთვე მაღნის გამამდიდრებელი ფაბრიკის მუშებმა იკალდებულეს 17 აპრილს დღიური საწარმოო დავალება 120-130 პროცენტით შეასრულონ და ხუთწლედის ფონდში ათასობით მანეთი გადარიცხონ.

მუშათა ერთი ნაწილი და მოსახლეობა მასობრივად გამოვა დაბის კეთილმოწყობად. ისინი 1.000 ხესა და ბუჩქს დარგავენ.

ერთსულოვანი გადაწყვეტილება

ბათუმი. (ხაკ. კორ.). ბათუმის ხის დამამუშავებელი კომბინატის კოლექტივს კომუნისტური შაბათობის მოწყობის მდიდარი ტრადიცია აქვს.

ამ დღისათვის კომბინატში ვალდებულება იკისრეს გამოუშვან 10 ათასი მანეთის პროდუქცია და გამომუშავებული ხელფასი — 3 ათასი მანეთი ხუთწლედის ფონდში ჩარიცხონ. საწარმოს მუშაკთა ერთი ნაწილი საწარმოს ტერიტორიის კეთილმოწყობასა და გამწვანებაზე იმუშავებს.

ხუთწლედის ფონდში

თელავი. (ხაკ. კორ.). ლენინური კომკავშირის სახელობის წინდის ფაბრიკის (დირექტორი ლ. სკანძე) მშრომელებმა გადაწყვიტეს შაბათობაზე ერთსულოვნად გამოვიდნენ და ეს დღე დამკვიდრებული შრომით აღნიშნონ. მათი პირობაა შაბათობის დღეს დაწოგილი ნედლეულით გამოუშვან 12 ათასი მანეთის ღირებულების 30 ათას წყვილზე მეტი წინდა, რაც სხვა დღეებში გამოშვებულთან შედარებით 4-5 ათასი წყვილით მეტი იქნება. ამ დღეს გამოშვებულ ხელფასს 1.200 მანეთს ისინი ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ.

1 აპრილი

„პრავდის“ ფურცლებზე

ავპამაღლოთ შრომის ხარისხი

ამ ხათაურით „პრავდის“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულია საქართველოს მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებები 1976 წლისათვის.

გაზეთის მეთაური წერილი („ხელოვნის მოწოდება“) ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში მხატვრული კულტურის როლის ამაღლებას ეძღვნება.

სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება სწორედ იმით არის ძლიერი, რომ იგი არსებითად გვერდს არ უვლის ხაზოგადოებრივი ხაქმიანობის არცერთ მხარეს, ცდილობს უჩვენოს თანამედროვე მისი შრომითი და ხაზოგადოებრივი აქტივობის მთელი მრავალფეროვნებით, გარესამყაროსთან მისი კავშირი, სულიერ გამოვლინებათა მთელი სიმდიდრე.

„ლიტერატურა და ხელოვნება, — წერს შემდეგ გაზეთი, — იდეოლოგიური ხაქმიანობის ხაბრძოლო უბანია, რომელიც მოიცავს პარტიული კომიტეტების მუდმივ ყურადღებას. მხატვრული შემოქმედების ხაკითხებისადმი თავის მიდგომაში მათ უნდა შეახამონ გულისხმიერი დამოკიდებულება მხატვრული ინტელიგენციისადმი, დახმარება მის შემოქმედებითს ძიებაში და კრიტიკულობა. ჩვენი პარტია, რომელსაც იდეური მიმართულება მიაჩნია ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ხაზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასების მთავარ კრიტერიუმად, ილაშქრებს შემოქმედებითი მუშაობისადმი ბაკარტივებული მიდგომის წინააღმდეგ, ამ ხფერულთან დაკავშირებული ხაკითხების ადმინისტრაციული მეთოდებით გადაწყვეტის ცდების წინააღმდეგ“.

სხვა საგაზეთო მასალებს შორის მეორე გვერდზე მკითხველს ყურადღებას მიიპყრობს მოსკოვის ერთ-ერთი ხაშუალო ხკოლის დირექტორის მ. ცენციპერისა და მოსკოვისავე მანქანათხმშენებლო ქარხანა „მაიაკის“ დირექტორის ე. მახლოვის წერილი აღზრდის თემაზე — „უფროსკლასელი: არჩევანის დრო“.

მესამე გვერდი დათმობილი აქვს ხახალხო კონტროლის გვერდს № 1 (252).

მალე პიატიგორსკში დაიწყება ორთათასადგილიანი ხანატორიუმების კომპლექსის მშენებლობა. ახალი საკურორტო ზონის პირველი რიგი გათვალისწინებულია 14 ათასი კაცისათვის. ამაზე მკითხველს მოუთხრობს ი. იბაშვილის წერილი — „მაშუკის მთის ძირას“.

ПРАВДА

სწორაში ტემპით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები: მწკრივთაშორისებში მექანიზებული გადაბარვა, ჩაის ბუჩქების გასხვლა. ახლა ამ დღეებში გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის ხაბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში.

აჩიგვარელმა მეჩაიეებმა, რომლებმაც გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ვალდებულება იკისრეს ამ ხეზონში სახელმწიფოს მისცენ 4 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც ეგეგმაზე ბევრად მეტია. მოსავლის ნახევარს მანქანები აიღებენ.

სურათებზე: ზემოთ — ჩაის ბუჩქების მექანიზებული გასხვლა აჩიგვარის ხაბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში. ქვემოთ — ხაბჭოთა მეურნეობის მოწინავე მექანიზატორი ალექსანდრე გოგოხია. მეცხრე ხუთწლედში მან მანქანა „ხაქართველოთი“ 200 ტონა ნედლეულით მოკრიფა, რაც დავალებაზე 25 ტონით მეტია.

ი. ჟოხონელიძის ფოტო (ხაინფორმის ფოტოქრონიკა).

სხლავენ აფხაზიელებენ...

დიდი თეატრის 200 წლისთავისათვის

საიუბილეო კომიტეტის სხდომა

მოსკოვში 31 მარტს გაიმართა სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის დაარსების 200 წლისთავის იუბილეს მომზადებისა და მოწყობის საკავშირო საიუბილეო კომიტეტის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა კომიტეტის თავმჯდომარე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი.

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს ინფორმაციები იმ საიუბილეო ზეიმის გეგმის შესახებ, რომელიც ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში გაიმართება. ქვეყნის უდიდეს ქალაქებში, მეათე ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე ეწყობა სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის წმიყვან მსახიობთა შემოქმედებითი ანგარიშგება-პატაკები. სახელგანქმული კოლექტივი ივნისში სრული შემადგენლობით გაემგზავრება საგასტროლოდ ლენინგრადს. გათვალისწინებულია აგრეთვე საოპერო დასის გამოსვლა კიევში და საბალეტო დასისა — ნოვოსიბირსკში. თავის იუბილეს დიდი თეატრი ეგებება ა. ეშპაის ახალი ბალეტი „ანგარის“ პრემიერითა და ნ. რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „სადკოს“ განახლებული დადგმით.

200 წლისთავს ეძღვნება მხატვრული გამოფენები, რომლებიც ასახავენ კოლექტივის სახელოვან შემოქმედებითს გზას, მრავალრიცხოვანი ფოტოალბომები, ნარკვევების კრებულები, მონოგრაფიები. (საკდესი).

საკდესის ცნობა

სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულება ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდის შეზღუდვის შესახებ, რომელიც 1974 წლის 3 ივლისს დაიდო მოსკოვში, როგორც ცნობილია, ითვალისწინებს, რომ 1976 წლის 31 მარტიდან მხარეები არ განახორციელებენ განსაზღვრულ სიმძლავრეზე დიდ ასეთ გამოცდებს.

ამჟამად გრძელდება საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ატომურ აფეთქებათა თაობაზე შეთანხმების დადების შესახებ, რის გამოც აღნიშნული ხელშეკრულება ჯერ არ შესულა ძალაში.

მაგრამ, ითვალისწინებს რა ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულების, როგორც ასეთი გამოცდების სრული შეწყვეტის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯის დიდ მნიშვნელობას, აგრეთვე მხედველობაში იღებს რა არსებითის პროგრესს, რომელიც მიღწეულია მშვიდობიანი მიზნით ატომური აფეთქების შესახებ შეთანხმების მომზადებაში, საბჭოთა კავშირი არ აპირებს განახორციელოს რაიმე მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულების დებულებებს, თუ ამერიკის შეერთებული შტატები თავის მხრივ ანალოგიურად მოიქცევა.

ამასთანავე გამოთქმულია იმედი, რომ ორივე მხარე ენერგიულ ღონისძიებებს მიმართავს, რათა რაც შეიძლება მალე დაიდოს შეთანხმება მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ატომური აფეთქების შესახებ და ძალაში შევიდეს 1974 წლის 3 ივლისის ხელშეკრულება.

სინიცკეზი რაკეარატნამის მოგზავალი ვიზიტის გამო

მიდღეული შეთანხმების შესაბამისად სინგაპურის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სინატამბი რაჯარატნამი საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვა აპრილის პირველ ნახევარში.

(საკდესი).

ახალი ამბები

◆ **ბერიოზა.** (ბრესტის ოლქი). ახალი ვენტილატორების პირველი ხერიული პარტია გაგზავნა კამის საავტომობილო ქარხანაში ლითონკონსტრუქციების ქარხნის კოლექტივმა. ავტოგიგანტის შეკეთება გრაფიკის ორი კვირის გასწრებით შესრულდა. საათში 80 ათასი კუბური მეტრი ჰაერის მწარმოებლობის მძლავრი და საამქრო ვენტილატორები გათვალისწინებულია კამის საწარმოს თუჯის საამსხმელო, საამფორო და ქიმიური საამქროებისათვის.

◆ **ამურის ნიკოლაევსკი.** მშენებლებმა დაიწყეს რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის მთავარი კორპუსის ხაძირკვლის ჩაყრა. წელიწადში 60 ათასი კუბური მეტრი ნაკეთობის სიმძლავრის საწარმო ამოქმედდება 1977 წელს. მის გვერდით აშენდება ხის დამამუშავებელი, სარემონტო-მექანიკური საამქროები და სხვა ობიექტები. მეათე ხუთწლედში ჩრდილოელები მიიღებენ თითქმის 100 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს.

◆ **კიევი.** უკრაინის ერთ-ერთ უდიდეს კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიის კვლევითს ინსტიტუტში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი კლინიკურ-ლაბორატორიული კომპლექსი. ექიმს რთულ დაავადებათა მკურნალობაში დაეხმარება თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი ლაბორატორიები და საოპერაციოები. რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულების მატერიალური ბაზა განუხრელად იზრდება. მარტო უკანასკნელი წლების მანძილზე კიევში, ხარკოვში, დნეპროპეტროვსკში აშენდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამედროვე კომპლექსები.

◆ **ურგენჩი.** სოფელ ხაზარასპში დაიწყო 10 ათასი სული პირუტყვის საკოლმეურნეობათაშორისო ხასუქებელი კომპლექსის მშენებლობა, რომელიც უდიდესი იქნება უზბეკეთში. ეს მაღალმექანიზებული საწარმო იქნება, რომელიც აღიჭურვება ავტომატურ მოწყობილობათა სისტემით. 20 ათასი სული მოზარდეულის გამოზრდისა და სუქებისათვის გათვალისწინებული მისი პირველი რიგი წლეულსვე ამოქმედდება. მეათე ხუთწლედში ხორეზმელი კოლმეურნეები წელობრივ საწყისებზე აამენებენ ოთხ ამგვარ საწარმოს და, ამრიგად, პირუტყვის სუქებას მთლიანად საბრეწველო საფუძველზე გადაიყვანენ.

◆ **ტაშკენტი.** 27.500 ათასის ანგარიშში ჯეჯა ხეხილის ნერგების უკანასკნელი პარტია გაუგზავნა უზბეკეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს რ. რ. შრედერის სახელობის მბაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა. ახლა რესპუბლიკაში გადაწყვეტილი აქვთ გაშენონ 17 ათასი ჰექტარი უხვმოსავლიანი პალმეტური ბაღები, რომელთა ფართობი დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზრდება. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „მშირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „მშირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „მშირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. ბაირამოვას ნიარ უზეირ ყზის — დიასახლისს, საგარეჯოს რაიონის სოფელი იორმუღანლო.

2. ბაირამოვას სულთან ამიტ ყზის — დიასახლისს, საგარეჯოს რაიონის სოფელი იორმუღანლო.

3. გოზალ მაჰმუდ ყზის — დიასახლისს, საგარეჯოს რაიონის სოფელი იორმუღანლო.

4. გუსეინოვას ბაჰარ მაგამედ ყზის — დიასახლისს, ქალაქი გორდაბანი.

5. ერინას ალექსანდრა ანდრიას ასულს — ულიანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ლაგოდეხის რაიონი.

6. ზეინაბს სულეიმან ყზის — დიასახლისს, საგარეჯოს რაიონის სოფელი იორმუღანლო.

7. კრომლიანს ფერუზა არუთინის ასულს — დიასახლისს, აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის სოფელი ახალსოფელი.

8. მაგამედოვას ჰალიმატ მაგამედის ასულს — კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ კოლმეურნეობის წევრს, ყვარლის რაიონი.

9. ნაჟუებიას ნუნუ ძეგვას ასულს — დიასახლისს, ზუგდიდის რაიონის სოფელი ჭაკოლაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1976 წლის 29 მარტი.

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილოვგეგის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში

ჩვენი დევიზი: მაღალი ეფექტიანობა, მომჭირნეობა, საუკეთესო ხარისხი!

ხუთწლედს — ჩვენი მუშური გარანტია

აპრილი

სოციალისტური შეჯიბრების დღიური

მეათე ხუთწლედის ეკონომიკური ბიულეტენი 1976 პირველი ნახევარი

შეჯიბრების ავანგარდში

კომუნისტებმა, ქალაქ რუსთავის ყველა მშრომელმა მოიწონეს სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ღონისძიებები სოციალისტური საზოგაოებების შემდგომი განვითარების შესახებ. ამასთან წამოაყენეს კონკრეტული წინადადებები საწარმოებში, მშენებლობებზე, ყველა სამუშაო ადგილზე შეჯიბრების გასაუმჯობესებლად, შეათე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

ყრილობის აღსანიშნავად საკასრი ვალდებულებების შესრულება სამშობლოს უპატაკა მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც / ორი თვის საწარმოო გეგმის გადამეტებით აწარმოა 850 ათასი მანეთის პროდუქცია. მოწინავეთა რიგებში დგანან მშენებლები და მემონტაჟეები, მათ უკვე ყრილობის გახსნის დღისათვის გაანადეს საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის კვარტალური გეგმა.

დღეს, როცა უკვე ხელთ გვაქვს მოქმედების პროგრამა, საქიროა უფრო მეტი შემოქმედებითი და მეზნობრივი მუშაობა, რათა ლიკვიდირებულ იქნეს არსებული ნაკლოვანებები, ყოველი სახის ნეგატიური მოვლენა, რომლებიც ხელს უშლის ჩვენს შემდგომ წინსვლას დასახულ ამოცანათა შესასრულებლად.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციისათვის მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელი სამი წელი სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის პირობებში დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებების დაძლევის, გამოსწორების წლად ითვლება. პარტიის საქალაქო კომიტეტს ცოტა ღონისძიების განხორციელება როდი დასჭირდა, რომ ჩამორჩენილი სამრეწველო საწარმოები მოწინავეთა რიგებში ჩაეყენებინა.

მეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში ქალაქის მრეწველობამ სახელმწიფოს დაუკლო 28 მილიონი მანეთის პროდუქცია. საგრძნობლად იყო დაცემული შრომის ნაყოფიერების ტემპი, შემცირდა და სამრეწველო პროდუქციის ბევრ მნიშვნელოვან სახეობათა წარმოება. მიზეზი ბევრი იყო, მაგრამ აქედან ძირითადია წარმოების სუსტი ორგანიზაცია, დაბალი შრომითი, სახელმწიფო და პარტიული დისციპლინა, პარტიულ-ორგანიზატორული და პოლიტიკმზრდელობითი მუშაობის შესუსტება.

მართალია, ქალაქის მრეწველობამ მეცხრე ხუთწლიანი გეგმა მთლიანად ვერ შეასრულა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ წარმოების დონე უკანასკნელი წლების დაბაბული შრომის შედეგად 28,4 პროცენტით გაიზარდა. ამასთან წარმოების მთელი მატება მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე.

ბოლო წლების წარმატებები პირდაპირი შედეგია იმ ღონისძიებებისა, რომლებიც საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ შეიმუშავა და განახორციელა რესპუბლიკაში გამეფებული ნეგატიური მოვლენების დასაძლევად, ბევრი ფართო ხასიათის პრობლემის გადასაწყვეტად.

როცა პარტიის საქალაქო კომიტეტმა თავისი საქმიანობის ანალიზი გააკეთა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, სადაც მთავარ ამოცანად ისახება წარმოების ეფექტიანობა და ხარისხი, გაირკვა, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლი გვაქვს. ქალაქის საწარმოთა მიერ გამოშვებული 140 სახის პროდუქციიდან არცერთს არ მიღწია ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. ამისათვის პარტიის საქალაქო კომიტეტი სამართლიანად გააკრიტიკეს რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე, რომელმაც განხილა სკკპ XXV ყრილობის შედეგები და საქართველოს კომპარტიის ამოცანები.

გვესმის აღნიშნული საკითხის აქტიურობა და მეათე ხუთწლედის გეგმებსა და ვალდებულებებში ვითარდასმენილი ვამშვებული პროდუქციის ხარისხის შკვეთრ გაუმჯობესებას. მეტალურგიულ ქარხანაში შეძუშავებულია და ინერგება პროდუქციის ხარისხის მართვის ზუსტი სისტემა, რაც ქარხნის რეკონსტრუქციასთან ერთად შექმნის პირობას ხუთწლედის მინძლზე „ხარისხის ნიშნით" იქნას წარმოებული მთელი პროდუქციის 35 პროცენტი.

სკკპ XXV ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შრომის ნაყოფიერების ზრდის აუცილებლობას. ამ მიმართებით უკანასკნელ წლებში ქალაქის თითქმის ყველა საწარმოში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი სამუშაოები. დიდ დახმარებას გვიწევს სვერდლოვსკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილების დანერგვა. შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის გათვალისწინებული სამნახევარი მილიონი მანეთის ღონისძიებებსა სამუალება მოგვცა მაქსიმალურად გამოგვყენებინა არსებული მოწყობილობა. მოსალოდნელი ეკონომიური ეფექტი ყოველწლიურად 8 მილიონ მანეთს შეადგენს.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა მთავარი საწარმოების პარტიულ კომიტეტებთან და ადმინისტრაციებთან ერთად შეიმუშავა ორგანიზაციულ-ტექნიკური კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცხობილი დადგენილებიდან: საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. ამ ღონისძიებების განხორციელება, არსებული საწარმოოების ახალი ტექნიკით ძირფესვიანი აღჭურვის გარდა, გარანტიას იძლევა ორჯერ გაიზარდოს სასაქონლო პროდუქციის წარმოება შემცირებული მომსახურე პერსონალის პირობებში.

დღეს პარტიის საქალაქო კომიტეტს სამართლიანად აღელვებს ის, რომ ვერ წყდება ქიმიური ბოჭკოს და „ცენტროლიტის" ქარხნების შემდგომი გაფართოებისა და ინტენსიფიკაციის საკითხები. ამ საკითხების გადაწყვეტა კი დიდ ეკონომიურ ეფექტს მოგვცემდა. მაგალითად, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივები წარმოადგენი წარმოების ინტენსიფიკაციისა და სპეციალიზაციის გეგმა, რომლის განხორციელების შედეგად დაახლოებით ოთხჯერ გაიზრდება წარმოების მოცულობა, 3,3-ჯერ — შრომის ნაყოფიერება.

ქარხანა „ცენტროლიტში" კი დასრულდა უწყვეტი ჰორიზონტული ჩამოსხმის მეთოდით პროფილური თუჯის ნამზადების მიღების ახალი ტექნოლოგიური ხაზის ტექნიკური სქემის შედგენა. ამ სიახლის დანერგვით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ნამზადების ხარისხი, აგრეთვე ყველა მისი ტექნიკური მხარე, ამაღლდება სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და წარმოების კულტურა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია სამსხმელო წარმოებაში.

ამ საკითხების ოპერატიულად და დადებითად გადაწყვეტა უნდა ითავოს სსრ კავშირის ქიმიური, ჩარხმშენებელი და ინსტრუმენტული მრეწველობის სამინისტროებმა, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას მეათე ხუთწლედში ქალაქის მშენებელთა წინაშე. მათ უნდა შეასრულონ 250 მილიონი მანეთის სამუშაოები, ანუ თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე წინა ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ძირითადი სამუშაოები ჩასატარებელია მოქმედ სამრეწველოობიექტებზე. ამასთან სულ უფრო მზარდი სამშენებლო სამუშაოების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებას. სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ ვაბანდებთ რა უდიდეს თანხებს, ჩვენ ვიღებთ უკუგებას მეტად დაგვიანებით, ან ბევრად ნაკლებს, ვიდრე უნდა ვიღებდეთ.

ამ მიმართულებითაც პარტიის საქალაქო კომიტეტს უფრო მეტი და ნაყოფიერი მუშაობის ჩატარება მოუხდება კაპიტალური მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად. მით უმეტეს, რომ უკანასკნელ წლებში კაპიტალური მშენებლობის გეგმები არ სრულდება და საქმის მდგომარეობა ამ დარგში არადამაკმაყოფილებელია.

ამჟამად პარტიის საქალაქო კომიტეტი და მშენებლობის ტრესტი ეძებენ რეზერვებსა და შესაძლებლობებს მშენებლობის სტრუქტურის სრულყოფისათვის, სამშენებლო ინდუსტრიის ბაზის განმტკიცებისათვის. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ მოსაგვარებელი სამონტაჟო ორგანიზაციებს, რომლებსაც ახალ ხუთწლედში რთული ამოცანების გადაჭრა მოუხდებთ. „სამმთავარმონტაჟსპეცმშენის" ხელმძღვანელობამ უახლოეს ხანში დეტალურად უნდა განიხილოს მეათე ხუთწლედის სამუშაოთა მოცულობა და შეიმუშაოს ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა.

წლეულს ქალაქში საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს სამი ობიექტი. პარტიის საქალაქო კომიტეტმა ამ ობიექტებზე შექმნა ხელმძღვანელობის ოპერატიული შტაბები, რომლებიც ტექნიკური საკითხების გადაწყვეტასთან ერთად ეხმარებიან ძირეულ ორგანიზაციებს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის უკეთესად მოწყობაში.

შრომითი კოლექტივების განწყობილება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა დონეზე იქნებიან მათი კულტურული თუ საყოფაცხოვრები მომსახურება. სწორედ ამ პოზიციიდან უდგება პარტიის საქალაქო კომიტეტი ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებას.

უკანასკნელ წლებში გათართოდა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელი. რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებისა და მზრუნველობის შედეგად გაუმჯობესდა მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით, ბოსტეულეთი და ხილით მომარაგება. მაგრამ ჩვენ კარგად გვესმის, რომ მიღწეულით დაკმაყოფილება ჯერჯერობით ნაადრევია, რომ მშრომელთა მოსახურების სფეროში ჯერ კიდევ აქვს სერიოზული ნაკლოვანებებს, საბჭოთა ეგზროის წესების დარღვევას, მექრთამეობას, გამომძალველობას, მომხმარებლისადმი უხეშ დამოკიდებულებას. ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ მშრომელთა მოსახურებაში ნამდვილი ბოლშევიკური წესრიგის დასამყარებლად.

კომუნისტები ერთსულოვნად გამოხატავენ ყრილობის შედეგებით გამოწვეულ კმაყოფილებას და აცხადებენ, რომ მზად არიან ყველა ღონე იხმარონ ახალი ხუთწლედით დასახული ამოცანების შესასრულებლად.

რ. გიორგაძე,
საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ნერგავენ ახალ ტექნიკას

ახალი ტექნიკის დანერგვისათვის დიდი ღონისძიებები ხორციელდება ჭიათურის მარგანეცის სამთამადნო კომბინატის საფლოტაციო და დახახვენ ფაბრიკაში. უბნები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ ახალ ხუთწლედში რაც შეიძლება სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით განახორციელონ საწარმოს ყველა რგოლის ტექნიკური შეიარაღება.

ახლა ფაბრიკაში მიმდინარეობს ვიბრაციისა და ხმაურის აღკვეთის სამუშაოები. ამ საქმეში ფაბრიკის კოლექტივს დახმარებას უწევენ მეცნიერი მუშაკები. სურათზე: თბილისის შრომის დაცვის ინსტიტუტის თანამშრომელი გ. ტულუში, ფაბრიკის მთავარი ტექნიკოსი დ. ნეფარიძე, ამავე ინსტიტუტის თანამშრომელი ზ. ხუციელავა, საწარმოს მთავარი მექანიკოსი მ. ტყემალაძე და მთავარი ინჟინერი თ. ბუაძე ამოწმებენ ხმაურისა და ვიბრაციის აღსაკვეთ ელექტროსეპარატორს.

ა. მაჰაპარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სვერდლოვსკელთა გამოცდილებით

ყოველი ნუთი უღანაკარგოდ

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა მარტო მეცნიერულ-ტექნიკური ან საწარმოო-ეკონომიური პრობლემა კი არ არის, არამედ იგი დიდი სოციალური ამოცანაა; თვითეული მზრომელის ღირსების საქმეა ყოველმხრივ განაკითაროს სოციალისტური შეჯიბრება, განახორციელოს მომჭირნეობის რეჟიმი. ყოველნაირად ზრუნავდეს შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის.

ამ მხრივ საინტერესოა სვერდლოვსკელთა გამოცდილება, რომელიც მინმალური კაპიტალური დანახარჯებით არსებულ სიმძლავრეთა საფუძველზე მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებს. როგორც ვიცით, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა ამ სასარგებლო თაოსნობას, დასახა მისი გავრცელების გზები.

ეს თაოსნობა ჩვენი ქარხნის № 5 საამქროს კოლექტივმაც აიტაცა და თავის საკუთრებად გაიხადა. ქარხანაში ჩვენი საამქრო ყველაზე მრავალრიცხოვანია. ჩვენი შესაძლებლობანი და რეზერვები რომ გავითვალისწინეთ, ვიკისრეთ გადიდებული ვალდებულება, რომ გეგმის ზევით დაზოგილი მასალებით გამოვუშვათ 1.000 ძრავი. ამისათვის დავჭირდება მომჭირნეობა და ყაირათიანობა გავავრცელოთ არა მარტო მასალათა სარჯვაზე, არამედ მანქანათა უკიდეგანო დროსა და შეკამცირო ფინანსური სარჯი, დავიცვათ საწარმოო რიტმი, გავზარდოთ თვითეული მუშის პასუხისმგებლობა.

ჩვენი კოლექტივი დღეს უკვე შრომაზე ორი ახალი დევიზით: „ყოველი წუთი უდანაკარგოდ" და „ხარისხის ხუთწლედი — მუშური გარანტია". შეჯიბრება საშუალებას გვაძლევს ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, გავზარდოთ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და მივაღწიოთ მოწინავეთა მიჯნებს.

ა. ბერძენიშვილი,
თბილისის ქარხანა „მიკროძრავას" № 5 საამქროს უფროსი.

მომჭირნედ, ყაირათიანად

სვერდლოვსკელთა თაოსნობა ეკონომიის პირადი ანგარიშების გახსნის საქმეში დიდი მნიშვნელობის ღონისძიებაა, რომელიც ერთნაირად ეხება მუშას თუ ინჟინერს, ხელმძღვანელს თუ ხელქვეითს. მთავარი კი ის არის, რომ შეჯიბრება მომჭირნეობის რეჟიმისათვის სისტემატიზაციაში მოდის, ხდება მუშაკის შემოქმედების აუცილებელ კომპონენტად.

მომჭირნეობისათვის ბრძოლა სხვადასხვა ფორმით ყოველთვის და ყველგან გვხვდება. მაგრამ უნაელთა მუშაობის განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ იგი გამოკვეთილია, მიცემული აქვს მეცნიერული საფუძველი და გეგმელინება, როგორც ერთერი მეთოდი სამეურნეო მუშაობის სწორი წარმართვისათვის.

ჩვენს კოლექტივში სვერდლოვსკელთა გამოცდილებას ნაყოფიერი ნიადაგი აქვს. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ძალიან ბევრი ღონისძიება განახორციელეთ მატერიალური და შრომითი რესურსების ყაირათიანად გამოყენებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ამ საქმის სამსახურში ჩავაყენეთ წარმოების ისეთი მაჩვენებლები, როგორიც არის წუნის შემცირება, ხარისხის ამაღლება, საწარმოო ნარჩენების ტექნოლოგიის საწყის სტადიაზე დაბრუნება და სხვა.

ყოველწლიურად 500-600 ტონა ნარჩენი გამოუკენებელი გვრჩებოდა. ამჟამად კი ეს ნარჩენები ბრუნდება ტექნოლოგიაში. ამრიგად, ნახევარფაბრიკატის სტადიაში ნედლეულის არავითარი დანაკარგი არა გვაქვს.

მართალია, კომბინატში მიმდინარე მთლიანი რეკონსტრუქციის სამუშაოები ბევრ დაბრკოლებებს უქმნის ყაირათიანობისათვის შეჯიბრებას, მაგრამ ვცდილობთ ყველა რგოლი მაქსიმალურად დაარაზმოს ეფექტიანობისათვის ბრძოლაში.

თ. თავართქილაძე,
თბილისის კერამიკული კომბინატის პროფკავშირის ხაჭარხნო კომიტეტის თავმჯდომარე.

ანალიზიდან მოქმედებისაკენ

მოვამზადოთ მყარი ეკონომიური საფუძველი ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის

შეჯიბრების გზა ეფექტიანობის გზაა

უკანასკნელ ხანს პრესაში სულ უფრო მეტად ვხვდებით ცნობებს, რომ მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა მაგალითისამებრ საწარმოებმა დაიწყეს 1976 წლის შემხვედრი გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შემუშავება. სულ ახლახან კი პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო საქართველოს მშრომელთა 1976 წლის სოციალისტური ვალდებულებანი.

უკანასკნელ დროამდე შემხვედრ გეგმებში, სოციალისტურ ვალდებულებებში მთავარ ყურადღებას მაინც რაოდენობრივ მაჩვენებლებს უთმობდნენ. რესპუბლიკის საწარმოთა მესამედი თუ ითვალისწინებდა შრომის ნაყოფიერების ზრდას, კიდევ უფრო ნაკლები იღებდა ორიენტაციას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ფონდამოგების ზრდაზე, თვითდირებულების შემცირებაზე.

ხარისხის ხუთწლედში კი შემხვედრი გეგმა და ვალდებულება არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავიყვანოთ მარტოოდენ რაოდენობრივ მაჩვენებლებამდე. ჩვენი შემდგომი წინსვლის რეზერვები უწინარეს ყოვლისა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაში უნდა ეძიებოთ. საჭიროა თვითეული მუშაკის პირად მოთხოვნილებად იქცეს ბრძოლა 1976 წლის გეგმის გადაჭარბებით.

უკვე საერთო აღიარება ჰპოვეს სამეურნეო პროექტიამ მრავალგზის დაადასტურა, რომ დაბაბული გეგმის აღებასა და შესრულებაში, რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან ხარისხობრივი მაჩვენებლებისაკენ შემობრუნებაში განსაკუთრებული როლი აკისრია ოსტატს, მისი მომზადებისა და პასუხისმგებლობის დონეს, ინიციატივასა და მეზანსწორფულობას.

ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" ოსტატთა გამოცდილება. გაერთიანებაში კარგა ხანია დიდ და სასარგებლო საქმეს აკეთებს ოსტატთა საბჭო, რომლის საქმიანობას უნარიანად წარმართავს ოსტატთა საბჭოს თავმჯდომარე ოთარ თეთვაძე. საბჭოში ყველა საამქროს მოწინავე ოსტატი შედის.

ხარისხის ხუთწლედის სტარტზე ოსტატთა საბჭომ თავის უპირველეს საზრუნავად დასახა ბრძოლა მუშაობის ხარისხის მკვეთრი ამაღლებისათვის. საბჭოს უმთავრესი დანიშნულება ისაა, რომ თვითეული ოსტატი იყოს ახლის, პროგრესულის მაძიებელი, ნოვატორ-რაციონალიზატორი, მუშაობის ძველი ფორმა შესცვალოს ახლით და პერსპექტიულით, თავად იძლეოდეს ხარისხოვანი მუშაობის საუკეთესო მაგალითს. ახლა აქ გულდასმით ამუშავებენ სამეურნეო პროექტიკამ მრავალგზის დაადასტურა, რომ დაბაბული გეგმის აღებასა და შესრულებაში, რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან ხარისხობრივი მაჩვენებლებისაკენ შემობრუნებაში განსაკუთრებული როლი აკისრია ოსტატს, მისი მომზადებისა და პასუხისმგებლობის დონეს, ინიციატივასა და მეზანსწორფულობას.

ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" ოსტატთა გამოცდილება. გაერთიანებაში კარგა ხანია დიდ და სასარგებლო საქმეს აკეთებს ოსტატთა საბჭო, რომლის საქმიანობას უნარიანად წარმართავს ოსტატთა საბჭოს თავმჯდომარე ოთარ თეთვაძე. საბჭოში ყველა საამქროს მოწინავე ოსტატი შედის.

ხარისხის ხუთწლედის სტარტზე ოსტატთა საბჭომ თავის უპირველეს საზრუნავად დასახა ბრძოლა მუშაობის ხარისხის მკვეთრი ამაღლებისათვის. საბჭოს უმთავრესი დანიშნულება ისაა, რომ თვითეული ოსტატი იყოს ახლის, პროგრესულის მაძიებელი, ნოვატორ-რაციონალიზატორი, მუშაობის ძველი ფორმა შესცვალოს ახლით და პერსპექტიულით, თავად იძლეოდეს ხარისხოვანი მუშაობის საუკეთესო მაგალითს. ახლა აქ გულდასმით ამუშავებენ ნიღბონ საწარმოს ჩამორჩენილ, ზრდის ტემპების შენელების, არარიტმული მუშაობის მიზეზი დამოკიდებული მიზეზები, რაც მეტწილად წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ხარვეზებთან, არსებული რეზერვების არასაკმარის გამოყენებასთან არის დაკავშირებული. ესეც არ იყოს, ისინი უველა ზომას როდი იღებენ სახელმეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის. მიყენებული ზარალისათვის ადმინისტრაციულ და ეკონომიურ სანქციებს ნაკლებად იყენებენ იმ მიმწოდებლების მიმართაც კი, რომლებიც თვით რესპუბლიკაშია.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე სამართლიანად აღინიშნა, რომ ზოგან წარმოების ზრდის ტემპების დაჩქარება ვერ ხერხდება არა მარტო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შეზღუდულობის გამო, არამედ იმის გამოც, რომ მთელი რიგი ხელმძღვანელები ცდილობენ აიღონ აშკარად შემცირებული გეგმები, ზოგან კი იმიტომ, რომ არა სურთ, უფრო ზუსტად კი არ შეუძლიათ გამოავლინონ წარმოების გაფართოების, მოქმედ სიმძლავრეთა მაქსიმალური დატვირთვის არსებული შინაგანი რეზერვები.

დაბაბულ საგეგმო დავალებათა შემუშავებისა და შესრულების ხელისშემშლელ ფაქტორთა შორის სამრეწველო საწარმოების მუშაობა საგანგებო ადგილი ეჭირა სოციალისტური შეჯიბრების ფორმების არასაკმარის ეფექტიანობას (გამოკითხულთა 25,6 პროცენტის აზრი).

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ ძალიან მცირე სახსრები იხარჯება სოციალისტურ შეჯიბრებაში ვამარჯვებულ მუშაკთა წასახალისებლად (მთელი ფონდის 3-6 პროცენტი). ამ მიზნისათვის ზოგან უფრო ნაკლები სახსრებიც კი გაიცემა, ვიდრე მუშაკთა ერთდროული დახმარებისათვის, რაც ნორმალურად ვერ ჩაითვლება. ჩვენი აზრით, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ მუშაკთა წასახალისებლად უნდა იხარჯებოდეს მთელი ფონდის არანაკლებ 10 პროცენტი. წახალისების სახსრების ამგვარი ოდენობა საშუალებას მისცემს საწარმოების შეჯიბრებაში გამარჯვებულ მუშაკთა პრემირების რაციონალური ორგანიზაციისათვის.

მეათე ხუთწლედის სტარტზე სტიმულირების მთელი მექანიზმი ახალ ამოცანათა შესაბამისად რაც შეიძლება სწრაფად უნდა გარდაიქმნას. ყოველნაირად უნდა განვავითაროთ მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა, ნოვატორობა, ავამაღლოთ გაერთიანებების, საწარმოებისა და მშენებლობების კოლექტივთა დაინტერესება იმ გეგმების შემუშავებისა და შესრულებისათვის, რომლებიც ყველაზე უფრო სრულად თვალისწინებენ წარმოების შესაძლებლობანი და რეზერვებს. დაბაბული გეგმის შემუშავების, დამტკიცებისა და სტიმულირების ფორმების სრულყოფის საკითხი უნდა მოგვარდეს მეათე ხუთწლედის სტარტზე. კოლექტივი, საწარმო, რომელიც ნებაყოფლობით მიდის ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეზე, ყოველდღიურ, კონკრეტულ დახმარებასა და მზრუნველობას საჭიროებს ზემდგომი ორგანოების მხრივ.

სკკპ XXV ყრილობის გადწყვეტილებების შესაბამისად ჩვენი რესპუბლიკის საწარმოო კოლექტივები ანალიზს უკეთებენ განვლილი ხუთწლედის შედეგებს, აზუსტებენ შემდგომი დაჩქარებული განვითარების შესაძლებლობებს, ასაბუთებენ მთლიანად ხუთწლიანი გეგმისადა 1976 წლის ვალდებულებათა თვითეულ ციფრს. და სწორედ დღეს, მეათე ხუთწლედის სტარტზე ჩვენ ყოველგვარ სხვა გაანგარიშებაზე მაღლა უნდა დავაყენოთ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ნამდვილად სანმუშო ხარისხის ინტერესი.

ზ. კაციაშვილი,
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

ყოველი კვალიფიციური მუშა ახალბედების დამრიგებელი უნდა გახდეს. — ამ დევიზით ეჯიბრებიან ერთმანეთს თბილისის ამრეუმის საწარმოო გაერთიანების მოწინავე მუშები. სურათზე: ამ გოგონების შეფობა ითავა საწარმოს მოწინავე მჭედელმა, სკკპ XXV ყრილობის დელეგატმა ცირა კილასონიამ. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები ე. აბრამოვი, ნ. ალადაშვილი, ვ. აბზარკიძე და ნ. წიკარიძე ყურადღებით უსმენენ თავიანთ დამრიგებელს.

ა. საკოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ახალი ინიციატივა

ბოლოდ საღი სხეული!

ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ძარხნის № 2 სამსხმელო საამქროს კოლექტივმა გადაწყვიტა: გადააქციოს საამქრო ბოლოდ საუკეთესო პროდუქციის წარმოების საამქროდ

როგორ უნდა ვიმუშაოთ, რა უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ყოველ სამუშაო უბანზე არსებითად გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი? — ეი კითხვა, რომელიც მთელ კოლექტივთან ერთად მოსვენებას არ აძლევდა ქარხნის № 2 სამსხმელო საამქროს უფროსს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს უ. მიქაძეს, პარტბიუროს მდივანს ჯ. ცხვედიანს.

პირველ რიგში ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ საამქრო მთელი დატვირთვით ვერ მუშაობდა, ჯერ კიდევ არ მიღწეია საპროექტო სიმძლავრისათვის. ამასთან სამუალოდ წუნით გამოწვეული დანაკარგები 5,5 პროცენტს შეადგენდა, მაშინ, როცა მოწინავე საავტომობილო ქარხნებში მისი წილი 4,2-1,5 პროცენტია. ცნობილი შეშფოთება: ავადმყოფობას რომ ეწყალო, მის გამოშეკვეთ მიზეზს უნდა მიაგნო. მართლაც, ასეთნაირად მიუდგნენ ამ საკითხს საამქროში, წუნისა და დანაკარგების მიზეზი მოინახა — ჯერ ერთი, სამსხმელო წარმოების მუშათა დაბალი კვალიფიკაცია. და, მეორეც, ტექნოლოგიური პროცესების არასრულფასოვანი გადაწყვეტა.

დაიწყო დაბაბული ბრძოლა ზემოაღნიშნული, ე. წ. „ვიწრო ადგილების" გამოსწორებისათვის. შეიქმნა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების ოთხი წრე, რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ ტექნოლოგები ტარიელ წაქაძე, ნიკოლოზ პელეხატი, თეიმურ სახელაშვილი და გრიგოლ შურღულია. ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისათვის საკმე, საყალიბე და სადნობ უბნებში განხორციელდა მთელი რიგი სიახლეები, კერძოდ, საკმე უბანში ისე წარმართა ტექნოლოგიური პროცესი, რომ კოპებში მინიშუმამდე დაიყვანეს აირების წარმოშობა, ქარხნის ბექანიკური განყოფილების ინიციატივით დამზადდა და დადგა ავტომატური ჩარხები — „ქვიშამბერი—400". ამან განაპირობა ნახაზების მიხედვით სხმულის გეომეტრიული ზომების დაცვა; საყალიბე უბანში არსებული დანადგარები გადაყვანილი იქნა ავტომატურ მართვაზე, რამაც სრულყო ტექნოლოგიური პროცესები. სადნობ უბანში ინტენსიური მუშაობა წარმოებს მიღებული თუჯის თვისებების შესწავლისა და მისი რაციონალურად გამოყენებისათვის. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ხშირად თუჯით მომარაგებაში შეფერხებებია და, თუ მოდიფიკატორებს სწორად შეარჩევენ, მაშინ შესაძლებელი იქნება ყველა თუჯის პრაქტიკულად გამოყენება.

სწორედ ამ ღონისძიებათა გატარებამ უზრუნველყო ის, რომ საამქრომ მიაღწია საპროექტო სიმძლავრეს. თუ ადრე წლიურად აშზადებდნენ 24-25 ათას ტონა სხმულს, შარშან უკვე დაამზადეს 27.300 ტონა. ამასთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სხმულის ხარისხი.

№ 2 სამსხმელო საამქროს კოლექტივმა შეიმუშავა ახალი ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს: მეათე ხუთწლედის პირველსავე წელს აწარმოონ 29 ათასი ტონა საღი სხმული, რითაც 1.000 ტონით გადააჭარბონ საამქროს საპროექტო სიმძლავრეს. წუნით გამოწვეული დანაკარგები დაიყვანონ 4 პროცენტამდე. საკმე უბანში დადგან ორი ახალი ქვიშამბერი ჩარხი, რომლებიც უკვე მზადდება ადგილობრივი ძალებით სარემონტო მექანიკურ საამქროში, წარმადობის გაზრდის მიზნით საღნობ უბანში მოეწყობა ბოყეების მცირე რეკონსტრუქცია.

საამქროს კოლექტივის ამ საერთო ვალდებულების პირნათლად განაღდებისათვის კოლექტივის თვითეულმა წევრმა შეიმუშავა პირადი გეგმა, ყოველი დღის ორ საათზე საამქროს ტექნიკური და საწარმოო უბნების ხელმძღვანელები, აგრეთვე ბრიგადები იკრიბებიან ე. წ. „წუნის გარჩევის მოედანზე", სადაც მსჯელობენ და სახავენ პრაქტიკულ ღონისძიებებს წუნის ლიკვიდაციისათვის. შემუშავდა მორალური და ეკონომიური სტიმულირების ახალი ფორმები. კერძოდ, უწუნო პროდუქციის მწარმოებელი პრემიაზე ათი პროცენტის დანამატს ღებულობს.

უკანასკნელ ხანს პრესაში სულ უფრო მეტად ვხვდებით ცნობებს, რომ მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა მაგალითისამებრ საწარმოებმა დაიწყეს 1976 წლის შემხვედრი გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შემუშავება. სულ ახლახან კი პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო საქართველოს მშრომელთა 1976 წლის სოციალისტური ვალდებულებანი.

უკანასკნელ დროამდე შემხვედრ გეგმებში, სოციალისტურ ვალდებულებებში მთავარ ყურადღებას მაინც რაოდენობრივ მაჩვენებლებს უთმობდნენ. რესპუბლიკის საწარმოთა მესამედი თუ ითვალისწინებდა შრომის ნაყოფიერების ზრდას, კიდევ უფრო ნაკლები იღებდა ორიენტაციას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ფონდამოგების ზრდაზე, თვითდირებულების შემცირებაზე.

ხარისხის ხუთწლედში კი შემხვედრი გეგმა და ვალდებულება არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავიყვანოთ მარტოოდენ რაოდენობრივ მაჩვენებლებამდე. ჩვენი შემდგომი წინსვლის რეზერვები უწინარეს ყოვლისა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაში უნდა ეძიებოთ. საჭიროა თვითეული მუშაკის პირად მოთხოვნილებად იქცეს ბრძოლა 1976 წლის გეგმის გადაჭარბებით.

ალა ანალიზიდან ჩანს, ბევრ საწარმოში ჯერ ვერ ხერხდება ადგილობრივ

გაფიცეთ
მაღალი ჯილდო

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 სამშენებლო ტრესტი მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში უველაზე მაღალი მაჩვენებლებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო ნიშნით „მეცხრე ხუთწლედში შრომითი მამაცობისათვის“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და შეტანილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დაფაზე.

გორში საზეიმო ვითარებაში გაიმართა შეჯიბრების გამარჯვებულთათვის მაღალი ჯილდოს გადაცემა.

კრების პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. გ. კოლბინი, რესპუბლიკის, ქალაქ გორისა და გორის რაიონის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა მუშაკები, მოწინავე მშენებლები.

კრება გახსნა № 3 ტრესტის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ა. შერმადინმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით ამხ. გ. კოლბინმა მხურვალედ და გულითადად მიულოცა ტრესტის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებს, მოსამსახურეებს, მთელ კოლექტივს მაღალი ჯილდო. უსურვა შემდგომი წარმატებანი შრომასა და პირად ცხოვრებაში და დამშვიდობა-თა ტაშის გრიალში გადასცა დროშა და სამახსოვრო ნიშანი ტრესტის წარმომადგენლებს.

№ 3 ტრესტის მმართველმა ა. აბულაძემ თავდაპირველ კოლექტივის სახელით მხურვალე მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და შეტანილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დაფაზე.

№ 3 ტრესტის კოლექტივი მოწინავეა რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში. მეცხრე ხუთწლიანი გეგმა მან შეასრულა 1975 წლის 15 ოქტომბრისათვის, გეგმის გადამეტებით აწარმოვა 2.644 ათასი მანეთის სამუშაოები. განვლილი ხუთწლედის მანძილზე ტრესტის კოლექტივმა ააშენა 43 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, სასაბავშვო ბაღები, პიონერიული სადგომები, ბოსტნეულ-ხილ-მარცვლეულ-კარტოფილსაცავები, სასენაჟე ტრანშეები, გაიყვანა წყალსადენები. ტრესტის კოლექტივი ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას რუსეთის სეს რესპუბლიკის არაშავმიწანიადაგიანი ზონის განვითარების შესახებ. საქართველოდან ჩასული მშენებელთა ჯგუფი მონაწილეობს ციმბირის ნაყოფიერ ოლქში უდიდესი ზისდამშეშვებული კომბინატის მშენებლობაში.

დიდი ამოცანებია დასახული ტრესტის კოლექტივის წინაშე მეათე ხუთწლედში. 1975 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზრდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა, შრომის ნაყოფიერება გადაიდება 40,7 პროცენტით. მშენებლებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი 1976 წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. კერძოდ, გადაწყვეტილია საცხოვრებელი სახლების საეკონომიკო-პლატაციოდ გადაცემის მიმდინარე წლის გეგმა შესრულონ 7 ნოემბრისათვის, სკოლებისა— 15 აგვისტოსათვის, გეგმის გადამეტებით ააშენონ 400 სულისათვის გათვალისწინებული პიონერიული სადგომები. აშენდება აერეთვე 10.250 ტონა სოფლის მეურნეობის პროდუქტების საცავები, 1400 ტონა მინერალური სასუქების საწყობები, 15.750 ტონა სენაჟის შესანახი ტრანშეები, გაიყვანენ 127 კილომეტრ წყალსადენს, შეასრულებენ სხვა სამუშაოებს.

№ 3 ტრესტის კოლექტივმა, რომელმაც შეჯიბრებაში გაიმარჯვა „ვოლოგდასოფლმშენის“ ტრესტის კოლექტივი, პირობა დადო, რომ წლიურ გეგმას მთლიანად შეასრულებს 21 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით აწარმოებს 400 ათასი მანეთის სამუშაოებს.

საზეიმო კრებაზე გამოსულმა მშენებელთა წარმომადგენლებმა თქვეს, რომ მაღალი ჯილდო აღაფრთოვანებს მათ ახალი შრომითი გმირობისათვის.

კრების მონაწილეებმა მისალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს. (საქინფორმი).

გულით აღვიქვით— საქმით ვუპასუხეგთ

31 მარტს გაიმართა რესპუბლიკური და თბილისის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციების აქტივის კრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომკავშირულმა აქტივისტებმა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა, პარტიისა და კომკავშირის ვეტერანებმა, დამრიგებლებმა, არმიის კომკავშირის წარმომადგენლებმა, სამინისტროებთან და უწყებებთან არსებული ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ხელმძღვანელი საბჭოების თავმჯდომარეებმა.

აქტივის კრება გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ო. ი. მენაბდემ.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით, ტაშის გრიალში აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სკკპ XXV ყრილობის შედეგებისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შემდგომ გაძლიერებაში რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. შარტავამ.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

კრებაზე გამოვიდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ვ. არსენტიევი, რომელმაც რესპუბლიკური კომკავშირული ორგანიზაციის წითელ დროშას მიამაგრა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო ლენტი, რომელიც კოსმოსშია ნამყოფი. ეს მაღალი ჯილდო საქართველოს კომკავშირს მიენიჭა მეცხრე ხუთწლედში ახალგაზრდობის მიერ შრომასა და სწავლაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის.

აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ჩხეიძემ.

მოხსენებაში და კრების მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ სკკპ ისტორიული XXV ყრილობის გადაწყვეტილებებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს პარტიის მამობრივი ზრუნვა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობისათვის, ძალ-ღონე და ენთუზიაზმი შემატეს საქართველოს კომკავშირელებს.

აქტივის კრების მონაწილეებმა განსაზღვრეს რესპუბლიკის კომკავშირელთა ძირითადი ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მასალების პროპაგანდისა და შესწავლისათვის, მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დასახულ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტაში კომკავშირელთა და ახალგაზრდათა აქტიური ჩაბმისათვის.

რესპუბლიკის 350 ათასზე მეტმა ახალგაზრდა მშრომელმა ვადამდე შეასრულა პირადი მეცხრე ხუთწლედი. მარტო 1975 წელს ახალგაზრდებმა გამოუშვეს 73 მილიონი მანეთის ზეგეგმიანი სამრეწველო პროდუქცია, ხუთწლედის „კალათაში“ 1 მილიონ 479 ათასი ტონა მეტი მოკრეფილი ქართული ჩაიდან 916 ათასი ტონა ახალგაზრდობის წილად მოდის. სტუდენტებმა და მოსწავლეებმა ამ წლების მანძილზე შეასრულეს 133 მილიონი მანეთის სამშენებლო სამუშაოები!

„კომკავშირული ორწლედის“ მსვლელობაში, როგორც კრებაზე აღინიშნა, ათასობით ქალიშვილმა და ჭაბუკმა მოიპოვა უფლება ჩაბაროს პროდუქცია ხარისხის კომკავშირული გარანტიით, იმუშაოს პირადი დამღით.

რესპუბლიკის 27400 ქალიშვილსა და ჭაბუკს წლად ხვდა პატივი ხელი მოეწერათ ლენინური კომკავშირის პატაკისთვის სკკპ XXV ყრილობისადმი.

დამკვრელური შრომით აღნიშნა ახალგაზრდობამ ახალი, მეათე ხუთწლედის პირველი თვეებიც. რესპუბლიკის კომკავშირი გაზდა ინიციატორი გაშლილი მასობრივი მოძრაობისა დევიზით: „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდათა ენთუზიაზმი და შემოქმედება“, რომელიც მოიწონა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-5 პლენუმმა.

აქტივის კრებაზე აღინიშნა აგრეთვე ახალგაზრდა რუსთაველ ქიმიკოსთა და ჭიათურელ კომკავშირელთა ახალი ინიციატივების შესახებ, რომელთა მიზანია მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულება.

აქტივის კრებაზე გაიმართა საქმიანი ხჯა-ბაასი შრომითს კოლექტივებში ახალგაზრდობის როლის, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის მისი ბრძოლის შესახებ.

აქტივის კრებამ განხილულ საკითხზე მიიღო რეზოლუცია, რომელშიც განსაზღვრულია რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გრანდიოზულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

რესპუბლიკის ყველა კომკავშირელისა და ახალგაზრდის სახელით კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური „კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისადმი.

რესპუბლიკის კომკავშირული აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ხაბეიშვილი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ორგანიზატორი ვ. რუსოვი.

• • •

კარგ ტრადიციად იქცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებიდან, კომკავშირული აქტივის კრებიდან შრომითი რაზმების გაგზავნა საკავშირო და რესპუბლიკურ დამკვრელურ მშენებლობებზე, ნომსახურების სფეროში, მეცხოველეობაში.

ეს ტრადიცია ახლაც არ დარღვეულა. მეშვიდე, 250-კაციანი რაზმი გაემგზავრა საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობაზე ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე, გაგრის საკურორტო ზონის მშენებლობაზე. კრების მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ახალგაზრდა პატრიოტები ღირსეულ წვლილს შეიტანენ მეათე ხუთწლედის ჩრდილოეთულ ამოცანათა შესრულებაში. (საქინფორმი).

მსოფლიოს ხმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 აპრილი

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკვლევი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

კომუნისტთა საარჩევნო კამპანია

ნიუ-იორკი. (საკვლევი). გაგაძლიეროთ ბრძოლა საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა გაწმენდაციებისათვის, მშრომელთა უფლებების უზრუნველყოფისა და რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის — ამ ამოცანებს უთმობს ძირითად ყურადღებას შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია, რომელმაც გააჩაღა თავისი საარჩევნო კამპანია.

მთელ რიგ შტატებში კომუნისტებმა უკვე მიაღწიეს იმას, რომ თავიანთი კანდიდატები — პრეზიდენტის პოსტზე გ. ჰოლი და ვიცეპრეზიდენტის პოსტზე ჯ. ტაიხერი — შეტანილია ხმის მისაცემ ბიულეტენებში. ახლახან ოჰაიოს შტატის ხელისუფლებს გადაეცათ პეტიციები, რომლებსაც ხელს აწერს თითქმის 10 ათასი ამომრჩეველი. პეტიციები შეიცავენ მოთხოვნებს, რომ კომუნისტურ პარტიას ნება დართონ მონაწილეობდეს არჩევნებში. შტატის კანონების თანახმად, საარჩევნო სიებში კანდიდატა შეტანისათვის საჭიროა ხუთი ათასი ხელმოწერა.

განსაკუთრებით რთულია კომუნისტთა მუშაობა, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებში საარჩევნო კამპანიაში მონაწილეა უკვე ორ უდიდეს ბურჟუაზიულ პარტიას — რესპუბლიკურ და დემოკრატიულ პარტიებს. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში, თქვა ახლახან რადიოთი გამოსვლისას კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გ. ჰოლმა, საჭიროა ბევრი დაბრკოლების გადალახვა.

ამერიკის „დემოკრატიის“ ფარისევლობის გამოვლინებაა ზოგიერთი შტატის საარჩევნო კანონები, რომლებიც კომუნისტებს არჩევნებში მონაწილეობას უკრძალავენ. წელს პარტია ამბრეს მიაღწიოს იმას, რომ ასეთი კანონები, მაგალითად, კალიფორნიასა და ალაბამაში, ანაკონსტიტუციურად გამოაცხადონ.

ახლახან გაიმართა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა. სხდომაზე მიიღეს ამ ღონისძიებათა ფართო პროგრამა, რომლებიც მიზნად ისახავენ კომუნისტთა პოზიციებისა და შეხედულებების პროპაგანდას. დაგეგმილია გ. ჰოლისა და ჯ. ტაიხერის გამოსვლები მიტინგებზე, მშრომელებთან შეხვედრები. ამ ღონისძიებათა მიზანია ამერიკელი ხალხის ფართო მასები აზიარონ კომუნისტთა იდეებს.

სოლიდარობა ჩილელ ხალხთან

მოუწოდებენ მსოფლიოს ჟურნალისტებს

პრაღა. (საკვლევი). ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ და სსრ კავშირის, კუბისა და ჩეხოსლოვაკიის ჟურნალისტთა კავშირებმა მოუწოდეს მთელი მსოფლიოს ჟურნალისტებს გაძლიერონ სოლიდარობის კამპანია ჩილელ ხალხთან, ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანისა და სამხედრო ხუნტის მიერ დევნილი სხვა პატრიოტების განთავისუფლებისათვის ბრძოლასთან.

ამ მოწოდებას შეიცავს განცხადება, რომელიც ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ და მომძე ჟურნალისტთა ორგანიზაციებმა მიიღეს ჩილეს ხალხთა სოლიდარობისადმი ძღვნილ შეხვედრაზე. შეხვედრაზე გამოვდნენ ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური მდივანი ი. კუბკა და სსრ კავშირის, კუბისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირების წარმომადგენლები.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ, სსრ კავშირის, კუბისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირებმა შეიფოთა გამოთქვეს იმ დემოკრატიულ ჟურნალისტთა სიცოცხლის გამო, რომლებიც ჩილეს ხუნტის საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯებიან.

მათ გადაჭრით მოითხოვეს, რომ დაუყოვნებლივ გათავისუფლონ ლუის კორვალანი, მხედრიონის მიერ დაპატიმრებული ჩილელი ჟურნალისტები, ყველა პოლიტიკური პატიმარი ჩილეში.

ბრძოლა ადამიანის უფლებათა დაცვისთვის

ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანებული რაზმებისა და მემარჯვენე პარტიების შეიარაღებული ნაწილების შეტაკება.

ბეირუთი. (საკვლევი). ლიბანის დედაქალაქში არ წყდება ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანებული რაზმებისა და მემარჯვენე პარტიების შეიარაღებული ნაწილების შეტაკება.

გაფფრებული ბრძოლები არტილერიის გამოყენებით მიმდინარეობს აგრეთვე ბეირუთის აღმოსავლეთით ქალაქ ალეიჰის რაიონში, რომელიც ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს უკავიათ, და მემარჯვენე პარტიების საყრდენი პუნქტის სოფელ კაპალის რაიონში.

ნიკოზია. (საკვლესი). კვიპროსის საზოგადოებრიობა და პრესა ცნობებს ამერიკის მეექვსე ფლოტის გადადგილებისა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალების მანევრების შესახებ უკავშირებენ ლიბანის ამბებს. ამასთან დაკავშირებით ისინი წერენ ამ ქვეყნის საკმეებში უცხოეთის შესაძლო ჩარევის თაობაზე. როგორც გაზეთი „ფილელევთეროსი“ აღნიშნავს, ახლა „არსებობს ლიბანში ამერიკის ჩარევის საშიშროება“. იგი ხაზს უსვამს, რომ ასეთი ჩარევა „კიდევ უფრო გაართულებს ვითარებას“ ამ რაიონში.

დამასკო. (საკვლესი). ლიბანში მომხდარი ამბების გამო სირიის მთავრობის მიერ აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ სირია განაგრძობს ლონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ლიბანის ერთიანობის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას, პალესტინის რევოლუციის დაცვას.

ლონდონი, (საკვლესი). ამერიკის პრეზიდენტი ჯიმი კარტერი ლონდონში ჩამოვიდა მეტ-ოლანდიდან. ამ ფაქტს ინგლისელ ჟურნალისტებს ანიშნებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს ბალანსირებული პოლიტიკა ანარცხოს ლონდონსა და ბონს შორის. ამ ბალანსი ინგლისელ ჟურნალისტებს ანიშნებენ, ინგლისელ ჟურნალისტებს ანიშნებენ, ინგლისელ ჟურნალისტებს ანიშნებენ,

რუსთაველელები მოსკოვში



მოსკოვი. 1 აპრილი. 31 მარტს წარმოდგენილი სპექტაკლით (ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე") ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში დამთავრდა თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ორკვირიანი გastროლები, რომელიც ქართული სასცენო ხელოვნების ნამდვილი დღესასწაული იყო. რუსთაველელთა ბოლო სპექტაკლის სანახავად მოვიდნენ მოსკოვში აკრედიტებული საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნის საელჩოთა და წარმომადგენლობათა თანამშრომლები, აკადემიური კომეტეტის პოლიტბიუროს წევრების კანდიდატი, სსრკ კულტურის მინისტრი „ეს. ბ. ნ. დემიჩევი. მან წარმოდგენის შემდეგ რუსთაველის თეატრის მსახიობებს და მიულოცეს დიდი წარმატება. ე. გოგლევამ თქვა: დღეს ჩვენ ვნახეთ ნამდვილი ბრეხტი, შექსპირის ტემპერამენტით, ნასიათების სიღრმით და სიმძაფრით, რომანტიკულობით და საოცარი პლასტიკურობით, რაც ასე ახასიათებს ჩვენს ქართველ მეგობრებს. დარბაზში დღეს არ იგრძნობოდა ქართული ენის არცოდნა, თითქოს საჭირო არც იყო მთარგმნელი. ეს დიდი თეატრალური სანახაობა, დიდი ინტერნაციონალური ხელოვნება იყო... გმადლობთ, ძვირფასო მეგობრებო.

საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს დიდ სააქტო დარბაზში კულტურის სამინისტრომ, საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს თეატრების სამმართველომ და რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყეს რუსთაველელთა საგასტროლო სპექტაკლების განხილვა. შესავალი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს თეატრების სამმართველოს თავმჯდომარემ ს. ასტახოვმა. მან მიმოიხილა რუსთაველის თეატრის საგასტროლო რეპერტუარი, ხაზგასმით აღნიშნა ა. გელმანის „პრემიის" და გ. ფანჯიკიძის „მეშვიდე ცის" თანამედროვე ეროვნულობა და სპექტაკლების ორიგინალური გადაწყვეტა, განსაკუთრებული აღფრთოვანებით მოიხსენია „სამანიშვილის დედინაცვალი", „ყვავყვარე" და „კავკასიური ცარცის წრე". ამ უკანასკნელს თეატრის გასტროლების საოცრება და მაყურებელთა ბედნიერება უწოდა.

გაეხილვაში მონაწილეობა მიიღეს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა კ. რიბნიკოვმ, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, მოსკოვის კონსერვატორიის და თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის პროფესორმა მ. საბინინამ, სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის მთავარმა მხატვარმა, რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ე. კუმანკოვმა, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა, ჟურნალ „თეატრის" მთავარმა რედაქტორმა ი. რიბაკოვმა და სხვებმა.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი. მან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და რუსთაველის თეატრის კოლექტივის ყველა წევრის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა ყველა მოსკოველს იმ გულთბილი, გულითადი მიღებისა და სტუმართმოყვარეობისთვის, რომელსაც თეატრის კოლექტივი ყველგან გრძნობდა...

მოსკოვის ერთ-ერთ ულამაზეს რაიონში, რომელსაც „კრასნაია პრესნიას" უწოდებენ, იწყება „ბოლშაია გრუზინსკაიას" ქუჩა. აქ მყუდრო და პატარა პარკშია, ამაყად დგას შოთა რუსთაველი... აქ მოვიდნენ რუსთაველის თეატრის კოლექტივის წევრები და ცოცხალი ყვავილებით შეამკეს დიდი წინაპრის ძეგლი.

მოსკოვის ბაბუშკინის რაიონის კულტურის სახლთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „კოლხიდამ", ბაბუშკინის რაიონის საწარმოთა და ქარხნების სახელოვანმა კოლექტივებმა რუსთაველის თეატრის კოლექტივი მეგობრულ შეხვედრაზე მიიწვიეს.

ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავეებმა რ. ჯანიშვილის ხელმძღვანელობით ოსტატობით შეასრულეს ქართული ცეკვები. მათმა ხელოვნებამ მოხიბლა რუსთაველის თეატრის კოლექტივი. არც სტუმრები დარჩნენ ვალში: დარბაზში აყეფრდა ქართველი პოეტების ლექსები, მასპინძლებს აჩვენეს სპექტაკლთა ნაწყვეტები (საგასტროლო რეპერტუარიდან).

გამოთხოვებისას ქართულ კაბებსა და ჩოხებში გამოწყობილმა ბაბუშკინის რაიონის კულტურის სახლის ანსამბლის წევრებმა ძვირფას სტუმრებს ყვავილები მიართვეს.

სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მუდმივ წარმომადგენლობაში საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენლობის ინიციატივით მოეწყო შეხვედრა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივთან. შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ სსრკ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ა. ვორონკოვი და საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი.

მოსკოვში რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლები დამთავრდა. მოსკოველებსა და მის მრავალრიცხოვან სტუმრებს, ყველას, ვინც კი თეატრის სპექტაკლები ნახა, დიდხანს ეხსომებაო ქართული მსახიობთა ხელოვნება.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის" ხაკ. კორ.

* * *

სურათებზე: მარჯვნივ — სსრკ სახალხო არტისტი ე. გოგოლევა სიტყვით მიმართავს სპექტაკლის — „კავკასიური ცარცის წრის" მონაწილეებს; მარცხნივ — მაყურებლები მიესალმებიან ქართველ მსახიობებს.

ფოტო: ბ. ბაბაევისა.

მეგობრებთან შეხვედრების სითბო

მოსკოვში დამთავრდა რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლები

თეატრის კოლექტივს მზურვალედ მიულოცა ვასტროლების წარმატებით ნატარება, ესაუბრა თეატრის ხელმძღვანელებსა და მსახიობებს. სსრკ კულტურის სამინისტროს, თეატრების სამმართველოს თავმჯდომარემ ს. ასტახოვმა კოლექტივს გააცნო კულტურის მინისტრის საგანგებო ბრძანება, რომელშიც აღნიშნულია, რომ რუსთაველის სახელობის თეატრი სპექტაკლებისათვის — „პრემია" („დასაწყისი"), „კავკასიური ცარცის წრე" და „სამანიშვილის დედინაცვალი" — დაჯილდოებულია დიპლომით და ფულადი პრემიით 5.000 მანეთის ოდენობით, რომ წლეულსვე ოქტომბერში თეატრისვე მიწვეულია მოსკოვში საგასტროლოდ უფრო ხანგრძლივი დროით, და, რომ 1977 წლისათვის გადაწყვეტილია თეატრის საგასტროლოდ გაგზავნა საზღვარგარეთის ერთ-ერთ ქვეყანაში.

საერთოდ გასტროლებმა დღეებში ბევრი საინტერესო შეხვედრა და საუბარი გამართა. კერძოდ, თეატრის კოლექტივი შეხვდა მოსკოვის თეატრალურ საზოგადოებრიობას. ვ. მაიაკოვსკის სახელობის თეატრში თავი მოიყარეს მოსკოვის თეატრების მსახიობება, რეჟისორებმა, თეატრალურმა კრიტიკოსებმა, პრესის, რადიოს და ტელევიზიის კორესპონდენტებმა. ნაჩვენები იქნა ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე". სპექტაკლის დამთავრების შემდეგ სცენაზე ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი თეატრალური მოღვაწეები — სოციალისტური შრომის გმირი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ე. გოგოლევა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ი. ზავადსკა, ე. პაპანოვი, ნ. გრიცენკო, ბ. ანდრეევი, მ. ულიანოვი, ვ. პლუჩეკი, ნ. მენგლეტი, ტ. პელევერი, ბ. პეტკერი, მ. სარულკინი და სხვები. მათ ყველანი მიართვეს

მოსკოვში დამთავრდა რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლები

საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს თეატრების სამმართველოს თავმჯდომარე ს. ასტახოვი.

ფოტო: ბ. ბაბაევისა.

„ღია კარის დღე" უნივერსიტეტში

მოამზადა სტუდენტთათვის

ამას წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ღია კარის დღე იყო. ათასობით მეათეკლასელმა მიაშურა ამ უმაღლესი სასწავლებლის ჩვიდმეტივე ფაკულტეტს, სადაც მათ საინტერესო შეხვედრა ელოდათ, ფაკულტეტების ხელმძღვანელები, კათედრათა გამგეები, ახალგაზრდებს ესაუბრნენ უნივერსიტეტში სწავლის სპეციფიკაზე, იმ სიახლეებზე, რომლებსაც მეცნიერების დღევანდელობა აყენებს საბჭოთა სტუდენტობის წინაშე.

ახალგაზრდები გაეცნენ უნივერსიტეტის სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებს, მუზეუმებს, სადაც მათ ახსნა-განმარტებას აძლევდნენ ჩვენი სახელოვანი, დვაწლმოსილი მეცნიერები.

შემდეგ პირველი კორპუსის საარტო დარბაზში გაიმართა მომავალ სტუდენტთა შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული კომიტეტის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან. მათ ამომწურავი პასუხი გასცეს ახალგაზრდების მრავალრიცხოვან შეკითხვას. ცალკეულ საგნებში შერჩანდელი წლის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეები ესაუბრნენ ახალგაზრდებს გამოცდების სპეციფიკასა და იმ ხარვეზებზე, რაც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის მსურველთა მომზადებაში შემჩნეული იყო შარშან.

ეს იყო „აბიტურიენტი-76"-ის გეგმით გათვალისწინებული უნივერსიტეტლთა პირველი მასობრივი ღონისძიება. მალე უმაღლეს სასწავლებელში შესვლის მსურველი ახალგაზრდები სკოლებში მიიღებენ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" სპეციალურ ნომერს, რომელშიც დაწერილებით იქნება საუბარი ფაკულტეტთა სტრუქტურასა და სხვა მათთვის საინტერესო საკითხებზე.

გ. შეყილაძე.

სურათებზე: გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორები გ. სულაქველიძე (მარცხნივ) და ა. ცაგარელი მომავალ სტუდენტებს აცნობენ მინერალოგიის მუზეუმს.

ავტორის ფოტო.

ბუნების ქომაგები

ზუგდიდი. (ხაკ. კორ.). მონადირეთა და მეთევზეთა ხაზოგადოების მუშაობა მარტო ვეგმების შესრულებით როდი განისაზღვრება. აქ ყურადღებას უთმობენ ნადირფრინველის, თევზის დაცვასა და მოშენებას, განსაკუთრებით ბუნების მტრებს ებრძვიან. შეიქმნა ბუნების დაცვის და ბრაკონიერობის წინააღმდეგ მებრძოლ სახალხო რაზმები, ჯგუფი 40 კაცის შემადგენლობით.

მალე საზოგადოება ურთის მთის ორი ათასი ჰექტარი ტყის ტერიტორიაზე, რომელიც მდიდარია წიფლის, მუხისა და წაბლის კოროზიებით, მოაშენებს სახარგებლო ნადირ-ფრინველებს.

შემთხვევა

კაცი ლიანდაგზე...

გამთენიისას სამგზავრო მატარებელი სამტრედია-წყალტუბო სადგურ თერნალიდან გავიდა. მას ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს მოწინავე მემანქანე ოთარ ოსაძე მართავდა. პროექტორის შუქზე მემანქანემ ლიანდაგზე უეცრად რაღაც შავი სავანი შენიშნა, რომელსაც მატარებელი მთელი სისწრაფით უახლოვდებოდა.

— ეჰე, აქ რაღაც სახიფათო ამბავია — შესძახა მემანქანემ და მუხრუჭებს ეცა. მატარებელი დაახლოებით ორი მეტრის დაშორებით შეაჩერა. ო. ოსაძემ სწრაფად ჩაირბინა ელმავლის კიბე და ტანში ცრუანტელმა დაუარა.

— ადამიანი!.. — ხელით შეეხო, პირქვე წოქცეული კაცი გადმოაბრუნა, ღვინის სუნი ეცა, კაცი უგონოდ მთვრალი იყო... იგი ვინმე კ. შ. ლორთქიფანიძე აღმოჩნდა.

მემანქანის საზრიანობამ და ოსტატობამ კეთილი საქმე ქნა. მაგრამ რა ეთქმის ადამიანს, რომელმაც კინაღამ ღვინოს შესწირა თავი?!

ივ. ბუხაიძე.

ავიაცდი

გუშინ დასავლეთ საქართველოში მოღრუბლული ამინდი იყო, სამხრეთ რაიონებში ზოგან წვიმდა, დაბლობ რაიონებში 13 საათზე 8-10, მთაში 3-8 გრადუსი სითბო აღინიშნა.

აღმოსავლეთ საქართველოში მზიანი ამინდი იყო, მგკვრის ხეობაში დასავლეთის ქარი ქროდა, დაბლობ რაიონებში 10-12, მთაში 4-8 გრადუსი სითბო აღინიშნა.

ღამე შავი ზღვისპირა რაიონებში წვიმა მოსალოდნელი, დაბლობ რაიონებში 12-17, მთაში 6-11 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში მოსალოდნელია მცირე წვიმა, მგკვრის ხეობაში დასავლეთის ქარი იქროლებს, ფამპერატურას ბარში 13-18, მთაში 7-12 გრადუს სითბოს ვვარაუდობთ.

თბილისში 16-18 გრადუსი სითბო იქნება.

იწყება საკურორტო სეზონი

რესპუბლიკის პოპულარულ ჯანმრთელობის კერებში — გაგრაში, ბორჯომში, წყალტუბოში, მახინჯაურში და სხვა კურორტებზე ზაფხულივით ხალხმრავლობაა, პირველი დამსვენებლები ძიღეს სოხუმის, ლიკანის, შოვის, გუმისთის ახალმა დასასვენებელმა სახლებმა და სასტუმროებმა.

საქართველოს 75 პოოფკავშირულ და საუწყებო კურორტზე მეათე ხუთწლედის პირველ წელს დაისვენებს და ჯანმრთელობას გაიკეთებს მილიონამდე კაცი — 100 ათასით მეტი, ვიდრე წინა წლებში.

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებები" ითვალისწინებს შავი ზღვის სანაპიროზე და საქართველოს მთიან რაიონებში საკურორტო ზონებისა და ტურისტული ბაზების შემდგომ გაფართოებას. მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის კურორტებზე მწყობრში ჩადგება 40 ახალი ჯანმრთელობის კერა.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს უთხრეს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკურ საბჭოში, წლეულს დიდი ყურადღება ეთმობა ოჯახური დასვენების ორგანიზაციას. შარშანდელთან შედარებით ერთთონრად გაიზარდა საოჯახო დასასვენებელი სახლების რიცხვი. ერთიანი საბჭურით აქ შეუძლიათ დაისვენონ ცოლ-ქმარმა და შვილებმა, ასეთი დამსვენებლებისათვის შოვსა და გუმისთაში შექმნილია ახალი კოტეჯების უბანები, სადაც მუშაობენ პედიატრი ექიმები, აღმზრდელი პედაგოგები, გახსნილია საბავშვო მოედნები და ოთახები.

საკურორტო დაწესებულებათა მუშაობის პრაქტიკაში მედიცინის თანამედროვე მიღწევათა ფართო დანერგვისათვის შეიქმნა სამეცნიერო-პრაქტიკული კომისია, რომელშიც შევიდნენ თვალსაჩინო მეცნიერი მედიკოსები. ცალკეულ კურორტებსა და ჯანმრთელობის კერებს მიამაგრეს გამოცდილი სპეციალისტები, რომელთაც უზრუნველყოფენ ადგილებზე საჭირო კონსულტაციებს.

სეზონის გახსნის წინ რესპუბლიკის საკურორტო დაწესებულებათა 200 ექიმმა სტაჟირება გაიარა ლენინგრადში, ოდესაში, პიატიგორსკში, კისლოვოდსკში.

რესპუბლიკის კურორტებზე იზრუნეს უსაგზურად ჩამოსულებისთვისაც. სპეციალურად შექმნილი ბიუროები იზრუნებენ მათი მკურნალობის, დასვენებისა და კვებისათვის.

□

ავიასერვისი-76

გაზაფხულ-ზაფხულის სეზონში მკვეთრად იზრდება მგზავრთა ნაკადი, მატულობს ავიაარეისების რაოდენობა. ამასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საპაერო მიმოსვლის ცენტრალური საგენტოს უფროსს ს. ა. ჯიქიას მოეთხრო ავიასერვის-76-ის შესახებ.

— წლეულს შარშანდელთან შედარებით შესამჩნევად გაუმჯობესდა ბილეთების შინ მიტანა — ბილეთების შეკვეთა შესაძლებელი იქნება კვირის ყოველ დღეს, — თქვა მან. — იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მგზავრები, რომელთა რიცხვი ზაფხულობით მატულობს, ახალი ავიასალარიოები გაიხსნა მეტრო „ოქტომბრის" სადგურში, რუსთაველ ქუჩიურ ქარხანაში. ასეთი სალაროების რიცხვი კვლავაც გაფართოვდება. ჩვენი საგენტო ჩართულია „სერვისაში" — ბილეთების გაყიდვის და თვითმფრინავებში ადგილების რეზერვირების ავტომატიზებულ სისტემაში, რაც მეტ კომფორტს უქმნის როგორც მგზავრებს, ისე მოლარეებს.

რესპუბლიკაში პირველად დაიწყება საპაერო ხაზებზე ახალი თანამედროვე კომფორტული სწრაფი ტუ-154 თვითმფრინავების ექსპლოატაცია, რომლებიც მოსკოვში ივლიან. თვითმფრინავების პარკს შეემატება გაუმჯობესებული ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების ტუ-134ა თვითმფრინავები.

გაიხსნება ახალი ავიახაზი თბილისი-აქტიუბინსკი-ნოვოსიბირსკი. ტუ-134 ლაინერით ფრენის დრო დაახლოებით ხუთი საათია. ლენინგრადში ორი პირდაპირი რეისი იქნება ერთიან ნაცვლად. გაიზრდება ოდესის რეისების რიცხვი.

საგენტოს კოლექტივმა, რომელიც სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს ახორციელებს, ვალდებულება იკისრა მეათე ხუთწლედის პირველ წელს ათი პროცენტით მეტი მგზავრი გადაიყვანოს, ვიდრე შარშან.

ტანმოვარჯიში

„მოსკოუ ნიუსის" პრიზზე

გუშინ მოსკოვში, ლუჟნიკის სპორტის სასახლეში საბჭოთა გაიხსნა ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი „მოსკოუ ნიუსის" პრიზზე.

ეს შეჯიბრება (ასპარეზობა დღეს დაიწყება) მესამედ ტარდება და დიდად პოპულარულია. თვითონ განსაჯეთ: ლუჟნიკის სარბიელზე 20 ქვეყნის 100-ზე მეტი ტანმოვარჯიშე გამოდის, მათ შორის იაპონიიდან, გდრიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან ჩამოსული ოსტატები.

ასპარეზობაში პირველნი ჯუნები ჩაებმებიან, რომელთა შორის არიან სსრ კავშირის 1976 წლის აბსოლუტური ჩემპიონი, თბილელი პაატა შამუგია, ოკრეფვე უძლიერესი ტანმოვარჯიშე ვლადიმერ მარჩენკო, გენადი იაკუნინი და სხვები.

ფეხბურთი

შეინგელიასა და ყიფიანის გოლები

სოჩის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირისა და ბულგარეთის ახალგაზრდული გუნდების ამხანაგური მატჩი. ნასპარეზობა ანგარიშით 4:1 (3:0) მოიგო საბჭოთა ნაკრებმა. ამ შეხვედრაში ოთხივე ბურთი ქართველმა ფეხბურთელებმა გაატანეს — ქუთაისის ტორპედელმა რამაზ შენგელიამ და თბილისის დინამოელმა დავით ყიფიანმა (ორ-ორი). შეხვედრის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე იორდანოვმა ერთი საპასუხო გოლი გაიტანა.

ევროპის სტადიონებზე

კიევის „დინამოს" ამასწინანდელმა მეტოქემ — საფრანგეთის „სენტ ეტიენნა" ევროპის ჩემპიონთა თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩში თავის მოედანზე მოუგო ჰოლანდიის „ეინდჰოვენს" — 1:0 (1:0). ბურთი გაიტანა გუნდის კაპიტანმა ლიარკემ.

მეორე ნახევარფინალში მადრიდის „რეალმა" უმასპინძლა მუნხენის „ბავარიას". ფრე — 1:1 (1:1). წარმატებას მიაღწიეს მარტინესმა („რეალი") და მიულერმა („ბავარია").

თასების მფლობელთა თასზე ბელგიის „ანდერლეხტმა" ცვიკაუში (გდრ) მოუგო ადგილობრივ „ზაკსენრინგს" — 3:0 (2:0), მაინის ფრანკფურტის „ეინტრახტმა" თავის მოედანზე ინგლისის „ვესტ ჰემს" — 2:1 (1:1).

უეფა-ს თასის გათამაშების ნახევარფინალების შედეგები ასეთია: ესპანეთის „ბარსელონა"-ინგლისის „ლეიფერპული" — 0:1 (0:1), გფრ-ის „ჰამბურგი"-ბელგიის „ბრიუგე" — 1:1 (0:0).

სამივე ტურნირის საპასუხო მატჩები გაიმართება 14 აპრილს.

მეარხეებთან — მწვრთნელები

ვ. ი. ლენინის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტთან ომამდელი პიროდის მსგავსად შეიქმნა მწვრთნელთა უმაღლესი სკოლა. აქ მიღებიან უმაღლესი ცოდნის მქონე ფეხბურთელები, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის ან საკავშირო ნაკრებებში გამოსვლის დიდი გამოცდილება, ამასთან ამჟღავნებენ პედაგოგიურ ნიჭს.

მსმენელთა შორის არიან ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელები ვლადიმერ კაპლინი, ვლადიმერ ფედორტოვი, ვიტალი ხმელნიცკი, ედუარდ მალოფეევი, გენადი ლოგოფეტი, პავლე სადირინი, ანატოლი კორშუნოვი, იური ჰშენიჩნიკოვი, კახა ასათიანი და სხვ. ყოველი მათგანი გაიღლის სტაჟირებას უმაღლესი ლიგის საბჭოთა კლუბებში, დაესწრება ფეხბურთის უცხოელ სპეციალისტთა ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს.

ჭადრაკი. ერევანში მიმდინარეობს ყაჟთა საერთაშორისო ტურნირი. გათამაშდა ათი ტური. შეჯიბრების ლიდერმა რომინინმა დაამარცხა ტუკმაკოვი და ახლა 8 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. მეორე ადგილზეა ვასიუკოვი — 7 ქულა (1), მესამე — გულკო (6,5 ქულა), რომელმაც ყაიმი გააკეთა სავონთან. შემდეგ მოდიან სავონი და ტუკმაკოვი — ექვს-ექვსი ქულა.

ჰოკეი. ლენინგრადში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ეროვნულ (მეორე შემადგენლობანი) ნაკრებ გუნდებს შორის. საბჭოთა ნაკრებმა გადამწყვეტ მატჩში მოუგო ჩეხოსლოვაკიის გუნდს — 2:0 და პირველობა მოიპოვა. მეორე ადგილზე არიან ჩეხოსლოვაკიის, მესამეზე — შვეიცარიის ჰოკეისტები.

„სპორტლოტოს" ტირაჟი

გაცნობებთ „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის 31 მარტს გამართული მე-13 ტირაჟის შედეგებს:

„სპორტლოტო": 6 (კალათბურთი), 43 (ფარიკაობა), 10 (ბუერი), 45 (ფეხბურთი), 17 (ხმაგრული ტანვარჯიში), 9 (ციცაობა).

„სპორტლოტო-2": 12 (წყალბურთი), 38 (ბრძოლა), 1 (ავიასპორტი), 5 (ბადმინტონი), 24 (თხილამურები), 10 (ბუერი).

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა დაიწყო ნაშრომების მიღება 1977 წლის პრემიების მოსაპოვებლად.

ნაშრომების მიღების ვადაა 1976 წლის 30 სექტემბერი (საფოსტო ბეჭდის მიხედვით).

ნაშრომები წარმოდგენილ უნდა იქნეს კომიტეტში შემდეგი მისამართით: თბილისი, მთავრობის სახლი VI სართული, ოთახი 26. ტელეფონები 99-50-78 და 99-74-05.

აქვე შეიძლება ცნობებიც მიღება პრემიების მოსაპოვებლად ნაშუშევრების წარდგენის წესის შესახებ.

რედაქტორი
დ. მჟელდლიშვილი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საქართველოს მეგიენისტთა და სანიტარულ ექიმთა რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოება, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მეგიენისა და პროფდაავადებათა და გ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და მეგიენის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მეგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ხაორგანიზაციო-მეთოდიური განყოფილების გამგე, 1946 წლიდან სკკპ წევრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი

ვახტანგ ალექსანდრეს-ძე ბადაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი ფოსტიდან

მკითხველები გვწერენ

◆ **ზუგდიდი.** პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა შეხვედრა მოუწყეს ენგურჰესის მშენებლებს: სოციალისტური შრომის გმირს ო. ბლიაძეს, სკკპ XXV ყრილობის დელეგატს შ. აბაკელიას, უკრაინელ მეგობარს, ენგურჰესშენებელ ჯ. ბიჩეკს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს გ. აბეხაძეს, ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს მ. ციხკარიშვილს და სხვებს.

ენგურჰესელები დამსვდურთ ესაუბრნენ შრომითს წარმატებებზე და მომავლის გეგმებზე. მოსწავლეებმა კი მათ თავიანთი სწავლისა და შრომის შედეგები გააცნეს, თანაც აღუთქვეს, რომ მოწინავენი ვიქნებით სწავლასა და შრომაშიო.

შეხვედრის დასასრულს მოსწავლეებმა ენგურჰესელებთან საამახსოვრო ფოტოსურათი გადაიღეს.

მ. ლოგუა.

◆ **სამტრედია.** რაიონის სახალხო თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ალ. ჩხაიძის პიესა „როცა ქალაქს ძინავს".

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ტ. ხაჟალიამ, მხატვრულად გაფორმა გ. ფრანგიშვილმა.

თ. ანდღულაძე.

◆ **ამბროლაური.** სოფელი ჭყვიში ახალმა ორსართულიანმა შენობამ დაამშვენა. ახლახანს აქ სახელმწიფო სანერგე მეურნეობის ადმინისტრაციული სახლი აშენდა, რომლის პირველი სართული სასოფლო კლუბსა და ავტომატურ სატელეფონო სადგურს დაეთმო.

ვ. ბასაძე.

◆ **ტყიბული.** ზედაჭყეპის სასოფლო ბიბლიოთეკის მკითხველებმა შეხვედრა მოუწყეს მოწინავე კოლმეურნეებს: ი. მერკვილაძეს, ნ. გაბელაშვილს და თ. მორჩაძეს.

სოფლის მშრომელები შეკრებილნი ესაუბრნენ თავიანთ შრომითს მიღწევებზე და გააცნეს ახალი, მეათე ხუთწლედის ამოცანები.

ი. შარაბიძე.

◆ **საჩხერე.** ხაკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე აშენდა ახალი საგანგებო ობიექტები: თევზისა და ხორცის, მზა ტანსაცმლისა და ჭოიტების, ფეხსაცმლისა და პარფიუმერია-გალანტერიისა. ეს საჭირო ობიექტები თანამედროვე დანადგარებით არის აღჭურვილი.

ა. ანასაშვილი.

თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

ფოტო: შ. ჩხეტიანის.

ტელევიზია

2 აპრილი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10—დოლის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ანისკინი და ფანტომასი" პირველი და მეორე სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა, 17.35 — განცხადებები, 17.40 — უმაღლეს სასწავლებლები შემსვლელთათვის — ფიზიკა, 18.25 — მოსწავლეთათვის კონცერტი, 18.50 — გადაცემა „ქვეყნის სახეკეთილ", 19.15 — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ტელევიზიის პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — „მომბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „კინოლექტორიუმი".

მეორე პროგრამით

18.05 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა, 19.45 — სტუდენტთათვის — სკკპ ისტორია, 20.30 — განცხადებები, 20.35 — მხატვრული ფილმი „ბალტიის ცა" (მეორე ხერია).

ოპერა

3 აპრილი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — ქართული კინოფილმების მუსიკა, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული კამერული მუსიკა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 12.00 — საუბარი „სკკპ XXV ყრილობის საერთაშორისო მნიშვნელობა", 12.15 — ი. ბახის ნაწარმოებთა კონცერტი, 13.10 — ეოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „კოლხეთის" კონცერტი, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.45 — ი. მილიუტინი. ოპერეტების ფრაგმენტები, 13.58 — ბ. დე სენტ-ეგზიუპერი. „ადამიანთა მიწა". რადიოდადგმა, 15.00 — „ხვალ გეოლოგის დღეა", სსრ კავშირის გეოლოგიის მინისტრის მოადგილის, პროფ. ა. ზჩეგლოვის გამოსვლა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.10 — ს. რახმანინოვი. კამერული ნაწარმოებები, 16.15 — „ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებითს პლენუმზე", 17.15 — ბავშვებისათვის. კონცერტი-საუბარი „თავისუფლება, უწინარეს ყოვლისა", 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — ფანტაზიები საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების თემებზე, 19.00 — „მხიარულ ტალღაზე", 19.30 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები" — მოთხრობა „მთვარის ავსების ღამეს". კითხულობს ს. ზაქარიაძე, 20.20 — საესტრადო კონცერტი. 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — შ. აზმაიფარაშვილი. სიუიტის — „ძველი თბილისის სურათების" — ნაწყვეტები, 21.30 — ახალგაზრდობისათვის — „რედაქციაში წერილი მოვიდა", 22.00 — „ხაღამო მშვიდობისა!", 23.30 — მღერის ბ. ტატიშვილი.

თეატრები

2 აპრილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ნოსტალგია პატიოსნებაა** (მე-16 აბონ. მე-5 წარმოდგენა); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ეთეთი გურჯი;** ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ჯარში მიდის დედისერთა;** საქართველოს მინისტრების სახელმწიფო თე